www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 26 ივლისი, 2013 წელი. | №3331 (138) | ფასი 50 თეთრი

საკანონმდებლო ცვლილება და თომას ჰამარბერგის რეკომენდაციები

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე საინიციატივო ჯგუფის მიერ მომზადებული საკანონმდებლო წინადადება განიხილეს. პროექტის ავტორები ლაშა ტუღუში, ზვიად ქორიძე და ლიკა საჯაია არიან.

სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, პროექტი ბიუროზე იურიდიული კომიტეტის სახელით დარეგისტრირდება. პროექტი, რომელიც უკანონო მოსმენებსა და თვალთვალზე სასჯელის გამკაცრებას ითვალისწინებს, ხუთ კანონში („ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, სისხლის სამართლის კოდექსში, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ და „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“) ცვლილებების შეტანას გულისხმობს.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

ვითარება საოკუპაციო ხაზზე

პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი საპარლამენტო კომისიის და დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის ერთობლივ სხდომაზე გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსს დავით სუჯაშვილს მოუსმინეს. მან ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის გარშემო მავთულხლართების გავლების საკითხზე ინფორმაცია პარლამენტარებს მიაწოდა. ამასთან, სუჯაშვილმა დოკუმენტური ფოტო და ვიდეომასალა წარმოადგინა, რომელიც აფხაზეთში საოკუპაციო ხაზზე გაკეთებული მიწაყრილებია ასახული.

რაც შეეხება ცხინვალის რეგიონის მიმართულებას, როგორც სუჯაშვილი ამბობს, მავთულხლართების არსებობა ხელს უშლის სტაბილურობას, მოსახლეობის თავისუფალ გადაადგილებას, სასმელი და სარწყავი წყლის მოძრაობას და იძულებულს ხდის მოსახლეობას, დატოვონ საცხოვრებელი სახლები.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

რატომ ვებრძვით წინაპრებს?!

სამთავისის ტაძარში და მის მიმდრებარე ტერიტორიაზე მიმდინარე არქეოლოგიური გათხრებისა და სარესტავრაციო სამუშაოების შესახებ ბოლო პერიოში საზოგადოებაში მწვავე დისკუსია დაიწყო. საქმე ეხება სამუშაო პროცესების დროს ისტორიული საფლავების გათრას. ნეშტების ამოღებასა და... კრიტიკოსებიდს და სამთავისში დაკრძალული ქართველების შთამომავლების აზრით, საქმე გვაქვს საფლავების უდიერად მოპყრობასთან.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

სარკინიგზო კატასტროფა ესპანეთში

ივა შილაკაძე

ესპანეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ქალაქ სანტიაგო დე კომპოსტელასთან კატასტროფა განიცადა ჩქაროსნულმა სამგზავრო მატარებელმა. დაიღუპა, სულ ცოტა, 78 ადამიანი, დაშავდა 178-ზე მეტი. დაშავებულებიდან 36 ადამიანის მდგომარეობა კრიტიკულია, მათ შორის 4 ბავშვია. ეს არის ყველაზე სერიოზული სარკინიგზო კატასტროფა ესპანეთში ბოლო 40 წლის განმავლობაში.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6452⇓
1 ევრო	2.0679⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5746⇓
1 თურქული ლირა	0.9116⇓
100 რუსული რუბლი	5.1083⇓

თბილისი	33°C - 21°C
ქუთაისი	29°C - 18°C
თელავი	33°C - 16°C
ზუგდიდი	28°C - 17°C
ბათუმი	26°C - 17°C

ნავთობი	2.75	-0.01	-0.43%
გაზი	2.91	+0.02	+0.55%
ოქრო	1,618.60	-3.20	-0.20%
ხორბალი	799.25	+0.00	+0.00%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121

„დინამო“ VS „სტიაუა“ - მესამე ეტაპი გასავლელია

გიგა გურასაშვილი

რა ხანია საკლუბო დონეზე ისეთი მნიშვნელოვანი მატჩის მოლოდინში არ ვყოფილვართ, როგორიც 30 ივლისს გაიმართება - თბილისის „დინამოს“ ჩემპიონთა ლიგის III საკვალიფიკაციო ეტაპზე რუმინეთის ჩემპიონ „სტიაუასთან“ მოუწევს ურთიერთობის გარკვევა. „სტიაუასთან“, რომელსაც ყველაზე ტიტულოვანი ქართული კლუბი ევროთასების ისტორიაში აქამდე ორჯერ შეხვედრია და ამდენჯერვე გამოუთიშავს ასევე ტიტულოვანი რუმინული კლუბი (ზოგადად რუმინულ კლუბებთან „დინამოს“ სტატისტიკა ასეთია: სამი მოგება და ერთი ფრე).

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

დინამოელებს 30 ივლისს სერიოზული გამოცდა ელით

ზაალ სამადაშვილს დღეს გადააყენებენ

დღეს თბილისის საკრებულოს ახალი უმრავლესობა საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილის თანამდებობიდან გადაყენების საკითხს განიხილავს. დღევანდელ სხდომაზევე აირჩევენ ახალ თავმჯდომარეს და 13 მუდმივმოქმედი კომისიის ხელმძღვანელებს.

აღსანიშნავია, რომ საკრებულოში თანამდებობებზე კანდიდატებს პარიტეტული პრინციპით აღარ აირჩევენ. ფრაქცია „დედაქალაქის“ თავმჯდომარემ კოკი იონათამიშვილმა და ფრაქცია „ქართული ოცნება - თბილისის“ თავმჯდომარემ გიორგი მუსხელიშვილმა გუშინ ბრიფინგი გამართეს და საკრებულოს დღევანდელ სხდომაზე განსახილველ საკითხებზე ისაუბრეს. გიორგი მუსხელიშვილის განცხადებით, პირველ საკითხად იქნება საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილის თანამდებობიდან გადარჩევის, ასევე საკრებულოს ახალი თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილისა და 13 კომისიის თავმჯდომარეების არჩევის საკითხი. მისივე თქმით, საქალაქო სასამართლომ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების სარჩელი არ მიიღო, რომლითაც ისინი 19 ივლისის საკრებულოს სხდომის ლეგიტიმურობას და მის შედეგებს აპროტესტებდნენ. გიორგი მუსხელიშვილმა და კოკი იონათამიშვილმა აღნიშნეს, რომ მათმა ოპოზიციონერმა კოლეგებმა სასამართლოსთვის მიმართვით ხელიდან გაუშვეს შანსი, აღნიშნულ თანამდებობზე კანდიდატები პარიტეტული პრინციპით წარედგინათ. მუსხელიშვილის განმარტებით, საკრებულოს ახალი თავმჯდომარის კანდიდატურაზე უმრავლესობის წევრები უკვე შეთანხმებულნი არიან. ამასთან, ფრაქცია „დედაქალაქის“ თავმჯდომარემ კოკი იონათამიშვილმა არასამთავრობო ორგანიზაციებს მოუწოდა, საზოგადოების დიდი ინტერესიდან გამომდინარე, საკრებულოს სხდომას დაესწრონ და მონიტორინგი განახორციელონ.

„ვთხოვთ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ იმ პროცესში, რაც საკრებულოში ხდება. თუ მათ სურვილი ექნებათ, მობრძანდნენ და დააკვირდნენ საკრებულოს სხდომას, მით უმეტეს, რომ მთელმა რიგმა ავტორიტეტულმა ორგანიზაციებმა წინა დღეებში ამ საკითხებით დაინტერესება დააფიქსირეს. ჩვენ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციასთან.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

არასაპარლამენტო პარტიები სამართლიან გარემოს ითხოვენ

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი არასაპარლამენტო პარტიების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრას „ახალი მემარჯვენეების“, „ქრისტიან-დემოკრატების“, ედპ-ს, „დემოკრატიული მოძრაობის“ და „ქართული დასის“ წარმომადგენლები დაესწრნენ. მათ საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირების წესი, ამომრჩეველთა სიების, უფასო სარეკლამო დროის და საარჩევნო დავების განხილვის პროცედურები განიხილეს. ზურაბ ხარატიშვილის თქმით, საარჩევნო ადმინისტრაციამ პარტიებს ის გეგმები გააცნო, რომლებიც არჩევნების მომავალი ჩატარებისთვის აუცილებელია. მანვე აღნიშნა, რომ პარტიებთან საარჩევნო პროცესში პოლიტიკური სუბიექტების ჩართულობის საკითხი განიხილეს.

„საუბარი შეეხო 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს და მისი გაუმჯობესების გზებს. კონტრუქციულად ვისაუბრეთ, თუ რის გაკეთებას შეძლებენ საარჩევნო ადმინისტრაცია და პოლიტიკური პარტიები იმისთვის, რომ არჩევნებმა კარგად ჩაიაროს. ასევე ვიმსჯელეთ იმაზე, თუ როგორ უნდა გაიზარდოს არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიების ჩართულობა საარჩევნო ადმინისტრაციაში, რათა მათაც აქტიური მონაწილეობა მიიღონ არჩევნების პროცესში,“ - განაცხადა ხარატიშვილმა.

ერთ კვირაში კი არასაპარლამენტო ოპოზიცია დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდება და წინასაარჩევნოდ არსებულ მდგომარეობას გააცნობს. ამის შესახებ „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ არასაპარლამენტო პარტიებისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

„დაახლოებით, ერთ კვირაში დიპლომატიური კორპუსიის წარმომადგენლებს შევხვდებით, რათა შექმნილი მდგომარეობა გავაცნოთ და არადემოკრატიული და არასამართლიანი საარჩევნო გარემოს შესახებ ინფორმაცია ქვეყნის ფარგლებს გარეთ გავიდეს. ჩვენ გვჭირდება საერთაშორისო და საზოგადოებრივი აზრის ზეწოლა, რათა სამართლიან არჩევნებს მივაღწიოთ. ჩვენ ვითხოვთ სამართლიან გარემოს და ლეგალურად არსებობის საშუალებას,“ - განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.

ილია II კრემლში ვლადიმირ პუტინის მიერ ორგანიზებულ შეხვედრას დაესწრო

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II კრემლში რუსეთის პრეზიდენტის მიერ ორგანიზებულ შეხვედრას დაესწრო. ვლადიმირ პუტინმა კრემლში სხვადასხვა ადგილობრივი ეკლესიების მეთაურები და წარმომადგენლები მიიღო. შეხვედრა რუსეთის გაქრისტიანების 1025 წლისთავის ფარგლებში შედგა. შეხვედრაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის 14 მაღალი რანგის სასულიერო პირთან ერთად იმყოფებოდა.

რუსეთის პრეზიდენტმა შეხვედრის მონაწილეებს მიმართა და ყურადღება კონფესიებს შორის დაპირისპირებაზე გაამახვილა. „მსოფლიოს ბევრ რეგიონში, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილო აფრიკაში სხვადასხვა კონფესიებს შორის დაპირისპირება მასშტაბურ ხასიათს იძენს. ირღვევა რელიგიურ უმცირესობათა უფლებები, მათ შორის მართლმადიდებელი ქრისტიანების. ეს პრობლემა საერთაშორისო გაერთიანების მხრიდან სათანადო ყურადღებას საჭიროებს. ჩვენი ქვეყანა კვლავაც აგრძელებს კონფლიქტური სიტუაციების პოლიტიკური გზით გადაჭრის გზაზე სიარულს. ამ საკითხში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანამშრომლობას. ასევე, მნიშვნელოვანია, ადგილობრივი ეკლესიების მხარდაჭერა და თანადგომა,“ - აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა.

ვლადიმირ პუტინის გამოსვლის თარგმანს ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ავრცელებს.

ზაალ სამადაშვილს დღეს გადააყენებენ

პირველი გვერდიდან

თუ მათ სურვილი ექნებათ, რომ დამკვირვებლის სტატუსით მოვიდნენ, ეს საზოგადოების უკეთ ინფორმირებულობას დაეხმარება,“ - განაცხადა კოკი იონათამიშვილმა.

თბილისის საკრებულოს უმცირესობას კი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებისგან შედგება, ჯერაც არ გადაუწყვეტია, დაესწრება თუ არა 26 ივლისს დაგეგმილ სხდომას, სადაც ინტერპარტიული უმრავლესობა აპირებს, ზაალ სამადაშვილი თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენოს. საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრ მამუკა ახვლედიანის მტკიცებით, რეგლამენტის მიხედვით, ერთსა და იმავე დღეს საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენება და არჩევა არ შეიძლება.

„რეგლამენტის მიხედვით, თავმჯდომარის გადარჩევის შემთხვევაში ახალ თავმჯდომარეს უახლოეს სხდომაზე ირჩევენ. ვინც ქართული იცის, ეცოდინება, რომ „უახლოესი“ შემდეგ სხდომას ნიშნავს,“ - ამბობს ახვლედიანი და აღნიშნავს, რომ საკადრო ცვლილებების განხილვაში ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“ მონაწილეობას არ მიიღებს. რაც შეეხება „თბილისელებისთვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებს“, მათ განხილვაში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილებას, ახვლედიანის თქმით, კონსულტაციების შემდეგ მიიღებენ.

„ჩვენ ვაგრძელებთ შიდა პარტიულ კონსულტაციებს; საკითხი იმის შესახებ, რომ ოპონენტებთან მოლაპარაკებების რესურსი ამოწურული აქვთ, სიმართლეს არ შეესაბამება. ჩვენ არ ვეპოტინებით და არ ვებღაუჭებით თანამდებობებს, ვაცნობიერებთ, რომ „ქართული ოცნება“ საკრებულოს უმრავლესობაა და მზად ვართ, ვითანამშრომლოთ ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მნიშვნელოვანია თბილისელებისთვის. ცალსახად ვაფიქსირებთ იმას, რომ რაღაც შოუებში და სპექტაკლებში, რასაც ჰქვია თავმჯდომარის გადაყენება და ასე შემდეგ, მონაწილეობას არ მივიღებთ, მაგრამ სხდომის დღის წესრიგი შედგება სხვადასხვა, მათ შორის არასაკადრო საკითხისგანაც. შესაძლებელია, ისეთ ფორმატზე ჩამოვყალიბდეთ, რომ საკადრო თემებში მონაწილეობა არ მივიღოთ, ხოლო სხვა საკითხების განხილვაში - მივიღოთ. შესაძლებელია, სულ სხვა ფორმატზეც ჩამოვყალიბდეთ,“ - განაცხადა მამუკა ახვლედიანმა.

მისივე მტკიცებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების სარჩელი, რომელიც საკრებულოს მიერ 19 ივლისის სხდომაზე მიღებულ აქტებს ეხება, განხილვაში მიღო, თუმცა ამ აქტების მოქმედება მყისიერად არ შეაჩერა.

„საქალაქო სასამართლოში შეტანილი სარჩელის ერთი ნაწილით ჩვენ ვითხოვდით 19 ივლისის საკრებულოს სხდომის ოქმების მყისიერ შეჩერებას. ამაზე სასამართლომ უარი გვითხრა, მაგრამ არსებით განხილვაში სარჩელი მიღებულია და სასამართლო სხდომებზე არსებითი განხილვების დროს გამოჩნდება, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო 19 ივლისის საკრებულოს სხდომის შედეგების შესახებ,“ - აღნიშნავს საკრებულოს წევრი.

გავრცელებული ინფორმაციით, საკრებულოს თავმჯდომარედ ყოფილი „ნაციონალი“ ირაკლი შიხიაშვილი განიხილება. თუმცა, „ქართული ოცნება - თბილისელების“ თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძე მის კანდიდატურას მხარს არ დაუჭერს. ზუმბაძის თქმით, ეს პირადად მისი გადაწყვეტილებაა და არა - ფრაქციის წევრების.

„იმ ასი ათასობით ადამიანის პატივსაცემად, რომლებმაც ლამის უკანასკნელი ამოსუნთქვა მიიტანეს ოქტომბრის არჩევნებზე, მე ირაკლი შიხიაშვილს, რომელიც შს სამინისტრომ დიდი ხნის წინ შეარჩია საკრებულოს თავმჯდომარედ, მხარს არ დავუჭერ,“ - აღნიშნა გულიკო ზუმბაძემ და დაადასტურა, რომ ახალი უმრავლესობა ფრაქცია „თავისუფლების“ თავმჯდომარეს ირაკლი შიხიაშვილს საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე უპირობო კანდიდატად წარადგენს.

ფრაქცია „დედაქალაქის“ წევრ მამუკა კაციტაძეს კი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურის შერჩევაში გარე ძალების - შს სამინისტროს ან სხვა უწყების ჩარევის შესახებ ინფორმაცია არ აქვს. როგორც მამუკა კაციტაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ირაკლი შიხიაშვილი საკრებულოს თავმჯდომარის ერთ-ერთ კანდიდატად განიხილება. მისივე თქმით, საკრებულოს ახალ უმრავლესობაში, რომელიც 25 დეპუტატს შეადგენს, კონსულტაციები ამ საკითხზე არ დასრულებულა. მამუკა კაციტაძის ინფორმაციით, სავარაუდო კანდიდატებად საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე მოიაზრებიან ჯაბა სამუშია, გიორგი მუსხელიშვილი და ირაკლი შიხიაშვილი. სხვა კანდიდატების შესახებ მას ინფორმაცია არ აქვს. კაციტაძე აცხადებს, რომ კანდიდატების შესახებ საკუთარ პოზიციას მას შემდეგ დააფიქსირებს, რაც სხდომაზე კონკრეტული პირის არჩევის საკითხი დადგება.

ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრ თემურ გრიგალაშვილის შეფასებით კი, ზოგიერთი პოლიტიკური სუბიექტი ფიქრობს, რომ ირაკლი შიხიაშვილის მხარდაჭერა მომავალში, პოლიტიკურ ასპექტში, „პანდორას ყუთის გახსნა იქნება“. გრიგალაშვილმა კომენტარი გააკეთა საკრებულოში „ქართული ოცნების“ ფრაქციებს შორის ირაკლი შიხიაშვილის კანდიდატურის შესახებ ერთიანი პოზიციის არარსებობაზე.

„საკრებულოში დღეს რამდენიმე პოლიტიკური სუბიექტის მიერ გაკეთებული განცხადებები ცხადყოფს, რომ ირაკლი შიხიაშვილის კანდიდატურის მიმართ ერთიანი დამოკიდებულება არ არის. ეს მათი გადასაწყვეტია. შესაბამისად, მოვლენების განვითარებას დაველოდებით,“ - განაცხადა თემურ გრიგალაშვილმა.

დამოუკიდებელი დეპუტატის კახა კუკავას თქმით კი, რამდენიმე დღის წინ მან და დეპუტატების ნაწილმა ხელი მოაწერეს ირაკლი შიხიაშვილის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე წარდგენის დოკუმენტს. კახა კუკავასთვის მოულოდნელი იყო „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების განცხადება, რომ ირაკლი შიხიაშვილი კოალიციის კანდიდატი არ არის.

„თუ ირაკლი შიხიაშვილს არ უჭერს მხარს საკრებულო, ეს ნიშნავს, რომ მხარს უჭერს ზაალ სამადაშვილს. ალტერნატივა არ არის. საკრებულოს თავმჯდომარის გარეშე საკრებულო ვერ იქნება. ვერ გაცოცხლდება ვერც ილია ჭავჭავაძე და ვერც აკაკი წერეთელი. საკრებულო ხვალ მიიღებს გადაწყვეტილებას და აირჩევს ირაკლი შიხიაშვილს ან დარჩება ზაალ სამადაშვილი და „ნაცმოძრაობა“. ასევე პოლიტიკური პასუხისმგებლობაა ის, რომ კოალიციის მოსაზრებებს ანგარიშს უნდა უწევდნენ მასში შემავალი პოლიტიკური პარტიები. თუ რესპუბლიკური პარტია მიიჩნევს, რომ მიუღებელია ირაკლი შიხიაშვილის კანდიდატურა და რაც ხდება საკრებულოში, ზოგადად ქვეყანაში, მაშინ სწორი გადაწყვეტილება ის კი არ არის, რომ გულიკო ზუმბაძემ ხმა არ მისცეს ირაკლი შიხიაშვილის კანდიდატურას, სწორი გადაწყვეტილება ის არის, რომ გამოვიდეს დავით უსუფაშვილი და თქვას, არ ეთანხმება ირაკლი შიხიაშვილის კანდიდატურას, არ მოსწონს შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და ასეთ შემთხვევაში, რესპუბლიკურმა პარტიამ დატოვოს „ქართული ოცნების“ კოალიცია, დავით უსუფაშვილმა კი - პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი,“ - აღნიშნა კახა კუკავამ. მისივე თქმით, ასე იქცევიან ევროპელი, არაანგარებიანი პოლიტიკოსები, „ხოლო როდესაც კოალიციაში ხარ და კოალიციის მიერ გადადგმულ ცალკეულ ნაბიჯს არ ეთანხმები, ეს მხოლოდ კორუფციულ მთავრობებში ხდება“.

კუკავამ ასევე აღნიშნა, რომ თუ „ქართული ოცნება“ თავის კანდიდატს არ წამოაყენებს, მაშინ «მემარჯვენეების» წარმომადგენელ მამუკა კაციტაძესთან ერთად მიიღებს გადაწყვეტილებას და საკუთარ კანდიდატს წარადგენს.

საკრებულოს ახალი თავმჯდომარის არჩევის საკითხს თბილისის მერი გიგი უგულავაც გამოეხმაურა. მისი თქმით, ახალ უმრავლესობას უფლება აქვს, თბილისის საკრებულოში ახალი თავმჯდომარე აირჩიოს. უგულავას განცხადებით, ის ამ პროცესს მხოლოდ თვალყურს ადევნებს.

„დღეს იქ შეიკრა ახალი უმრავლესობა, რომელსაც შეუძლია და უფლება აქვს, ახალი თავმჯდომარე აირჩიოს და კომიტეტები ხელახლა დააკომპლექტოს. მე ამ პროცესს მხოლოდ თვალყურს ვადევნებ და საჭიროდ არ მივიჩნევ ჩემი მხრიდან ჩარევას, რადგან მერი და მერია ცალკე არჩევითი ორგანოა,“ - აღნიშნა უგულავამ. ჟურნალისტის კითხვაზე - რას იტყვის ყოფილ თანაგუნდელ ირაკლი შიხიაშვილის კანდიდატურაზე, თბილისის მერმა უპასუხა - **„არაფერს“.**

საკრებულოს დღევანდელ სხდომაზე მუდმივმოქმედი კომისიის ხელმძღვანელებსაც აირჩევენ. დაუდასტურებელი ინფორმაციით, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე უმრავლესობაში მიხეილ ქავთარაძის კანდიდატურას განიხილავენ; ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე - კახა კუკავას; იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე - დავით ჯინჭარაძის; ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარის პოსტზე - ზაურ დოლიძის; ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისის ხელმძღვანელის თანამდებობაზე - ნინო თევდორაძის; საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის პოსტზე - ნიკო ხაჩირიშვილის; ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისის ხელმძღვანელად - მაკა გვარამიას; ურბანული დაგეგმარების და ძველი თბილისის რეაბილიტაციის კომისიის თავმჯდომარის პოსტზე - დავით წერეთლის; სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე - გელა ომანიძის; გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის პოსტზე - კახა ფირუაშვილის; განათლებისა და კულტურის კომისიის ხელმძღვანელის პოსტზე - ზურაბ გაჩეჩილაძის (შონზო); სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის პოსტზე - ნათელა მაჭავარიანის; საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის ხელმძღვანელის პოსტზე კი - კახა გურულის.

მარიამ კოჩალიძის მკვლელობაში ეჭვმიტანილს ინტერპოლი ეძებს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 16 წლის გოგონას მკვლელობის საქმე გახსნა. სამინისტროს ცნობით, 22 ივლისს ბათუმში 16 წლის მარიამ კოჩალიძის მკვლელობის გამოძიების მსვლელობისას დადგინდა სავარაუდო მკვლელის ვინაობა. გამოძიებისთვის ცნობილია, რომ აღნიშნული პირი 1985 წელს დაბადებული ირანის მოქალაქე მოჰამადამინ რუინთანია, რომელიც საქართველოში სარფის სასაზღვრო-გამშვები პუნქტიდან 23 ივნისს შემოვიდა და 22 ივლისის 19:22 საათზე საქართველოს ტერიტორია ასევე სარფის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გავლით დატოვა. მის დასაკავებლად შინაგან საქმეთა სამინისტრო მოლაპარაკებებს თურქ კოლეგებთან აწარმოებს. შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მარიამ კოჩალიძის სავარაუდო მკვლელის - ირანის მოქალაქე მოჰამადამინ რუინთანის დაკავების თხოვნით თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრს უკვე მიმართა. ღარიბაშვილის განმარტებით, თურქული მხარე ქართველ კოლეგებს აქტიურ დახმარებას უწევს სავარაუდო მკვლელის დაკავების საკითხში.

16 წლის მარიამ კოჩალიძის მკვლელობაში ეჭვმიტანილის ძებნაში ინტერპოლიც ჩაერთო. შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის მთავარი სამმართველოს უფროს ვალერიან თელიას განმარტებით, თურქეთის სამართალდამცველი ორგანოს წარმომადგენლებიც გაფრთხილებულნი არიან და ეჭვმიტანილის ადგილსამყოფელის დასადგენად და დასაკავებლად ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს.

„გოგონას დაკარგვის შესახებ ოჯახის წევრებმა მოგვმართეს 22 ივლისს 23:00 საათზე. გვამი კი აღმოჩენილ იქნა ღამის 01:00 საათზე. იმ დროისთვის ირანის მოქალაქეს სარფის საბაჟო პუნქტი უკვე დატოვებული ჰქონდა. კერძოდ, მოჰამადამინ რუინთანინმ სარფის საზღვარი 22 ივლისს 19:22 საათზე გადაკვეთა,“ - განაცხადა თელიამ.

მისივე თქმით, გამოძიება მიმდინარეობს და მკვლელობის მოტივი დადგინდება. ვალერი თელიას ინფორმაციით, ირანის მოქალაქე ერთი თვის განმავლობაში ახალი ბულვარის ბოლოს ხიდის ქვეშ ცხოვრობდა.

„ეს ადამიანი ხიდის ქვეშ ცხოვრობდა. მოწმეები ადასტურებენ, რომ ის მარიამ კოჩალიძის ველოსიპედით გადაადგილდებოდა ბულვარის ტერიტორიაზე, მკვლელობის საღამოს. აღმოჩენილია ველოსიპედი ბათუმში, რაც ერთ-ერთმა მოქალაქემ წარმოუდგინა პოლიციას. მობილური ტელეფონი არ არის ნაპოვნი,“ - აღნიშნა ვალერი თელიამ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ლევან ბერძენიშვილის აზრით, მსგავსი დანაშაული ნიშნავს იმას, რომ მოქალაქე ნებისმიერ ტერიტორიაზე დაცული არ არის. ამასთან, დეპუტატი მიიჩნევს, რომ სამინისტრომ მონაცემების გამოქვეყნება იჩქარა და ირანის მოქალაქის უდანაშაულობის პრეზუმფცია დაარღვია.

„რა თქმა უნდა, უნდა იყოს დაცული ირანის მოქალაქის უდანაშაულობის პრეზუმფცია, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიაჩნია, რომ საქმე გაიხსნა. ასეთ შემთხვევაში მათ იჩქარეს მონაცემების გადმოცემა, რადგან მათ შეხედეს არა ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით, არამედ შეხედეს იმ თვალსაზრისით - ოჯახი როგორ უყურებს ამას, საზოგადოება როგორ უყურებს ამას, ბათუმის სეზონი საერთოდ როგორ წავა და საქართველოს იმიჯი როგორ იქნება. აქ ეს არჩევანი გაკეთდა იმიტომ, რომ ამ ინფორმაციის გამჟღავნებით საქმე არ ფუჭდება, წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით, იმიტომ, რომ იმ კაცის დაჭერა ტექნიკური საკითხია, თუ მართლა ის აღმოჩნდება დამნაშავე,“ - აცხადებს ბერძენიშვილი და მიიჩნევს, რომ საქმე გვაქვს მაღალი ინტერესების კონფლიქტთან. მისივე თქმით, მართალია, პრეზუმფცია დაირღვა, მაგრამ რადგან პირი საქართველოს მოქალაქე არ არის, მისი რეპუტაცია არ ილახება. ბერძენიშვილი ამბობს, რომ შს სამინისტროს ადგილზე თავადაც ანალოგიურად მოიქცეოდა. მისივე განცხადებით, 16 წლის მარიამ კოჩალაძის მკვლელობა ყველას ბრალია.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი **რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

ვითარება საოკუპაციო ხაზზე

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მისი ინფორმაციით, მავთულხლართების საერთო სიგრძე 30კმ-ია. სუჯაშვილისთვის უცნობია, რითი ხელმძღვანელობდნენ რუსეთის საოკუპაციო ძალები მავთულხლართების გავლებისას. **„რატომღაც, 2006 წლის რუკას ასახელებენ, რომელიც არავის აქვს. შინაგან საქმეთა სამინისტროში ასეთი რუკა არ არსებობს,“** - თქვა დეპარტამენტის წარმომადგენელმა გიორგი ჯიღაურმა.

რაც შეეხება მექანიზმებს, რომელთა საშუალებითაც დაპირისპირებულ მხარესთან კომუნიკაცია მიმდინარეობს, როგორც ჯიღაური ამბობს, ერთ-ერთი ასეთი მექანიზმი ცხელი ხაზია, რომლითაც შესაძლებელია ცხინვალთან, სოხუმთან და საოკუპაციო ძალებთან დაკავშირება. სამინისტროს წარმომადგენელთა თქმით, მექანიზმი, ძირითადად, დაკავებების და ჰუმანიტარული პრობლემის შემთხვევებში გამოიყენება.

ანალიტიკურმა დეპარტამენტმა კონკრეტული მაგალითიც დაასახელა, როდესაც ცხელი ხაზის მეშვეობით ტურისტებით სავსე ვერტმფრენების წინააღმდეგ ცეცხლის გახსნის საშიშროების თავიდან აცილება მოხერხდა. **„რამდენიმე თვის წინათ თურქეთიდან ორი ვერტმფრენი შემოფრინდა და ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე შევიდა. ვერტმფრენები გუდაურში მიფრინავდნენ,“** - აღინიშნა დეპარტამენტის წარმომადგენელმა.

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გუბაზ სანიკიძე დაინტერესდა, ახალგორში მავთულხლართების გასავლებად მიმდინარეობს თუ არა მოსამზადებელი სამუშაოები. ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ჯერჯერობით ამ მიმართულებით გადაადგილებები არ შეინიშნება.

თუმცა, ანალიტიკური დეპარტამენტი მავთულხლართების გავლებას არც ახალგორთან გამორიცხავს. **როცა „ეფ-ეს-ბე“-ს სასაზღვრო ძალების წარმომადგენელს ვესაუბრეთ, გვითხრეს, რომ პროცესს ბოლომდე მიიყვანენ და მავთულხლართებს ყველგან გავლებენ,“** - აღნიშნა ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენელმა.

საუბარში გუბაზ სანიკიძე ჩაერთო. მისი თქმით, სააკაშვილმა სანაკოევის ადმინისტრაციის შექმნით სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა აღადგინა. **ახალგორი, რომელიც არასდროს შედიოდა კონფლიქტის ზონაში და სადაც რუსეთის სამშვიდობო ჯარები არასდროს მდგარა, სააკაშვილის პოლიტიკის შედეგად სასაზღვრო ტერიტორიად იქცა. რა ტერიტორიაც სააკაშვილმა მოუზომა, იქ ავლებენ მავთულხლართებს,“** - განაცხადა გუბაზ სანიკიძემ.

გუბაზ სანიკიძის თქმით, დღევანდელმა ხელისუფლებამ კეთილი უნდა ინებოს და ნებისმიერი მიმართულებით, საკმაოდ აგრესიული დიპლომატიური ნაბიჯები უნდა გადადგას და „ყაზბეგის ხელშეკრულების“ შესახებ ინფორმაცია მთელ მსოფლიოს გააგებინოს, სადაც რუსეთის ფედერაციას სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმება აღიარებული აქვს. **„რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება კი ელცინის ხელისუფლების სამართალმემკვიდრეა. იურიდიულად ჩვენ არ ვართ გამყარებული საერთაშორისო ასპარეზზე. ქართული დიპლომატია უნდა გამოფხიზლდეს, თორემ ვიქნებით კურიერები - წავიღებთ და ჩამოვიტანთ ამბავს,“** - აღნიშნა სანიკიძემ.

მოგვიანებით სანიკიძის განცხადებას საქართველოს საგარეო საქმეთა ექს-მინისტრი გოგი ხოშტარია გამოეხმაურა. **„ეს იყო ზვიად გამსახურდიასა და ბორის ელცინს შორის სიტყვიერი შეთანხმება, რომელიც წერილობით არ გაფორმებულა. საკითხი ეხება იმას, რომ ჩვენ რუსეთის დაუკითხავად მის ავტონომიაში არ შევალთ, რუსები კი ჩვენს დაუკითხავად არ შემოვლენ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. გარდა ამისა, ელცინმა დაადასტურა სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმება. ეს ორი საკითხი ძალიან მნიშვნელოვანი რამ იყო. სიტყვიერ შეთანხმებასაც შეიძლება რაღაც ძალა ჰქონდეს, რადგან მისი მოწმეები არსებობენ,“** - თქვა გოგი ხოშტარიამ.

საკუთარი ინფორმაცია

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲛᲐᲟᲝᲠᲘᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

არჩევნებში გამარჯვებიდან 11 თვის თავზე საქართველოს პრემიერ-მინისტრი მოსახლეობას ჰპირდება ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის გეგმაზე მუშაობის დასრულებას.

„ცოტა გაგვიჭიანურდა, თუმცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის გეგმა მუშავდება და სექტემბერისთვის იქნება,“ - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ეკონომიკურ ექსპერტებთან გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

„ამ შემთხვევაშიც საყვედური მივიღეთ, რომ გაგვიჭიანურდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ობიექტური პრობლემები არსებობს,“ - აღნიშნა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილის თქმით, მას ეკონომიკურ ჯგუფთან ხშირი შეხვედრები ექნება. **„ჩვენი ქვეყნის პრობლემების თითქმის ყველა გზა ეკონომიკაზე გადის და ჩვენი ძირითადი გამოწვევა ეკონომიკაა. ნახევრად ხუმრობით, მაგრამ აბსოლუტურად სერიოზულად განვაცხადე, რომ მომავალში ჩემი ძირითადი ინტერესი ეკონომიკური ექსპერტები იქნებიან,“** - დასძინა პრემიერმა.

ეკონომიკურ ექსპერტებთან გუშინ გამართული შეხვედრის შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი „ქართული ოცნებიდან“ გარიცხვით დაემუქრა ყველას, ვინც ოპოზიციას ღონისძიებებში ხელს უშლის. ივანიშვილი გამოეხმაურა ზუგდიდსა და ბათუმში მომხდარ ინციდენტებს, როდესაც მოქალაქეების ჯგუფმა „ნაციონალებს“ კვერცხები დაუშინეს. პრემიერის თქმით, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, არ მტკიცდება, რომ „ნაციონალების“ ღონისძიებებთან დაკავშირებული აქციები „ქართული ოცნების“ ოფისიდან იყო ორგანიზებული. მისივე განცხადებით, წარმოუდგენელია, ეს „ქართული ოცნებიდან“ ხდებოდეს, რადგან, როგორც პრემიერმა აღნიშნა, ეს ხელისუფლების ინტერესებში არ შედის.

ივანიშვილის განცხადებით, მან ითხოვა და ასევე ბრძანებებიც გასცა, რომ მაქსიმალურად გაკეთდეს ორგანიზება, რათა მსგავსი ექსცესები არ მოხდეს. **„დღესაც გვქონდა საუბარი, რომ კონკრეტული გვარები მოიტანონ. თუ ამაში ვინმე ჩვენი პარტიიდან მონაწილეობდა, საჯაროდ ვაცხადებ, რომ გავრიცხავთ „ქართული ოცნებიდან“ და ისინი ჩვენი წევრები არ იქნებიან, მკაცრი რეაგირება გვექნება. ჩვენი წევრები ვერ იქნებიან ისინი, ვინც არ აძლევენ ნორმალურად გამოსვლის საშუალებას ოპოზიციას. თუ იქცევიან ისინი ისე, როგორც გვექცეოდნენ ჩვენ, ეს დაუშვებელია და მათ ჩვენი რიგებიდან აუცილებლად გავრციხავთ,“** - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

მისივე თქმით, არ შეიძლება, დაპირისპირება ხელისუფლების მხრიდან მომხდარიყო, რადგან ეს ხელისუფლების ინტერესებში არ შედის. **„მგონი, მათ უფრო კარგად იციან, საიდან ხდებოდა ამის ინსპირირება,“** - აღნიშნა ივანიშვილმა.

ოპოზიციის გარდა, პრემიერი თავდასხმებისგან უმრავლესობის წევრებსაც იცავს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მხარდამჭერებს სთხოვს, „რესპუბლიკელებზე“ და განსაკუთრებით პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილზე „თავდასხმებისგან“ თავი შეიკავონ.

როგორც საკუთარ ბიზნესცენტრში პრემიერმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, „რესპუბლიკელებ“ საპარლამენტო მუშაობის მეტი გამოცდილება აქვთ და სწორედ ამიტომ არიან აქტიურები.

„სამწუხაროდ, გარედან ძალიან ხშირად ესხმიან თავს „რესპუბლიკელებს - ვფიქრობ, დაუმსახურებლად. ძალიან ხშირად ჩვენი მხარდამჭერებისგანაც ისმის „რესპუბლიკელების“ მიმართ დაუმსახურებელი კრიტიკა. ძალიან ვთხოვდი, თავი შეიკავონ. განსაკუთრებით თავი შეიკავონ პარლამენტის თავმჯდომარეზე თავდასხმებისგან, რადგან ის სახელმწიფო მოღვაწეა, ძალიან კარგი სპეციალისტია, არის დაბალანსებული და ნიჭიერი კაცი და ჩემთვის ძალიან საწყენია, რომ მას ხშირად დაუმსახურებლად აკრიტიკებენ,“ - აღნიშნა პრემიერმა.

სხვაგვარი დამოკიდებულება გამჟღავნა პრემიერმა პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატების მიმართ. გუშინ ეკონომიკური გუნდის ექსპერტებთან შეხვედრაზე ივანიშვილმა მაჟორიტარული სისტემის გაუქმების საკითხი რამდენჯერმე დააყენა. როგორც საკუთარ ბიზნესცენტრში პრემიერმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, მაჟორიტარების კუთხით პრობლემები არსებობს.

„მაჟორიტარების პრობლემა იმ დონით არსებობს, რომ მე რამდენჯერმე დავსვი საკითხი, შეიძლება ეს მაჟორიტარული საერთოდ ამოვიღოთ. თუმცა ამის დიდი სპეციალისტი არ ვარ და ამ საკითხს ძალიან ფრთხილად ვეკიდები,“ - განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, მაჟორიტარები პარლამენტის წევრები არიან, კანონმდებლობის ჩამოყალიბებაში მონაწილეობენ, შესაბამისად, კეთილი უნდა ინებონ, საკუთარი უფლებები და მოვალეობები კარგად გაარკვიონ და საკუთარი მოღვაწეობა იმის მიხედვით გააგრძელონ.

„მათთვის არ ჩაუბარებიათ რეგიონები. ისინი აირჩიეს ამ რეგიონებიდან. ამ რეგიონების მიმართ ვალდებულება აქვთ და ეს უნდა განახორციელონ და არა მეტი. შეიძლება, უხეში ტერმინი გამოვიყენე, როდესაც ტერმინი ფეოდალური“ გამოვიყენე, მაგრამ ის, რომ მათ მიაჩნიათ, თითქოს რეგიონი თვითონ უნდა მართონ, ასე არ არის,“ - განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერს არ დაუკონკრეტებია, რომელი მაჟორიტარი დეპუტატის მიმართ აქვს პრეტენზიები. მისი თქმით, ყველას აქვს პრობლემა, ზოგს ცოტა, ზოგს დიდი, მაგრამ პრობლემები არსებობს. პრემიერის განცხადებით, ბევრს პოლიტიკური გამოცდილება აკლია.

დაბოლოს, გახდება თუ არა აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი ბიძინა ივანიშვილის მრჩეველი, ჯერ უცნობია, თუმცა გავრცელებულ ინფორმაციას პრემიერ-მინისტრი უკვე პასუხობს: **ჩემთვის სასიამოვნო იქნებოდა, თუ ისეთი პოლიტიკოსი, როგორიც კონდოლიზა რაისია, ჩემს მრჩევლობას იტვირთებდა, მე მივესალმებოდი და მადლობასაც გადავუხდიდი.**

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კონდოლიზა რაისი პრემიერის მრჩევლად ინიშნება, რუსულ პრესაში, კერძოდ «იზვესტიაში» მას შემდეგ გავრცელდა, რაც საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატები თედო ჯაფარიძე და თინა ხიდაშელი ამერიკის შეერთებულ შტატებში კონდოლიზა რაისს შეხვდნენ. რუსული წყარო იტყობინება, რომ რაისმა საქართველოს მთავრობას შესთავაზა დახმარება, რათა მათ უკეთ გააცნოს ვაშინგტონის კონიუნქტურა.

რაისი დახმარებას დაგვპირდა და უკვე მოგვცა გარკვეული რჩევები საგარეო პოლიტიკისა და რუსეთის შესახებ, - განუცხადა თედო ჯაფარიძემ «იზვესტიას».

ᲘᲞᲝᲗᲔᲙᲐᲠᲗᲐ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ

ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელმა ზაქარია ქუცნაშვილმა გუშინ არასაპარლამენტო პარტიებს პასუხი რიგგარეშე სხდომის ტრიბუნიდან გასცა. ქუცნაშვილმა პარლამენტარებს მემორანდუმი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების პროექტის განხილვისას წარუდგინა. **„ერთ-ერთი პარტიის ლიდერი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მილიონი ლარის მიცემას წინასწარ ითხოვდა. ეს ამ დოკუმენტში პირდაპირ წერია და ამას დაადასტურებს დოკუმენტის განხილვაზე დამსწრე 30-ზე მეტი პარტიის წარმომადგენელი. შეურაცხმყოფელი კამპანია, რომელიც უპასუხისმგებლო პოლიტიკოსებმა წამოიწყეს, მიანიშნებს, რომ საქართველოში პოლიტიკური კულტურის ასამაღლებლად ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო,“** - თქვა ქუცნაშვილმა. მას ის პირი არ დუსახელებია, რომელიც დაფინანსების მიღებას წინასწარ ითხოვდა.

კანონპროექტში კი ნათქვამია, რომ ის კანდიდატი, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებზე ხმათა 10 პროცენტს ან მეტს მოიპოვებს, საარჩევნო კამპანიისთვის განეული 1 000 000 ლარის ოდენობით ხარჯი ბიუჯეტიდან აუნაზღაურდება.

ქუთაისში სხდომა ორი საპროტესტო აქციის ფონზე მიმდინარეობდა, რაც უმრავლესობის წევრ გედევან ფოფხაძის მიერ ინიცირებული კანონპროექტის განხილვამ განაპირობა. შენობის გარეთ შეკრებილები აცხადებდნენ, რომ კერძო იპოთეკარების ქმედებით მათ ზარალი მიადგათ და ამიტომ ქონების გაყიდვა ემუქრებათ.

შენობაში კი კერძო იპოთეკარები იმყოფებოდნენ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში მოქმედებდნენ, ყველა ხელშეკრულება ნოტარიულად აქვთ დამოწმებული და პარლამენტში ინიცირებული პროექტით მათი უფლებები მთლიანად უგულებელყოფილია.

კანონპროექტი იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე აღსრულების პროცესის 2014 წლის 1 თებერვლამდე შეჩერებას ითვალისწინებს.

გედევან ფოფხაძე კი მიიჩნევს, რომ კერძო იპოთეკარების უსამართლო ბიზნესი უნდა დამთავრდეს. **„70-80 პროცენტით ფულის გაცემა არ შეიძლება,“** - მიიჩნევს გედევან ფოფხაძე.

საკუთარი ინფორმაცია

ქეთრინ ეშტონი და შტეფან ფულე განცხადებას ავრცელებენ

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ქეთრინ ეშტონი და გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში კომისარი შტეფან ფულე საქართველოსა და ევროკავშირს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების შესახებ მოლაპარაკებების დასრულებასთან დაკავშირებით ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ.

„სიხარულით ვადასტურებთ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ სამომავლო შეთანხმებაზე (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის ჩათვლით) მოლაპარაკებების არსებით დასრულებას. გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძესთან გამართულ შეხვედრებზე ჩვენ გამოვთქვით მადლიერება მოლაპარაკებებში მონაწილე საქართველოს მხარის წარმომადგენელთა მიზანმიმართულობის გამო, რომლებიც თავდაუზოგავად და ენერგიულად მუშაობდნენ მოლაპარაკებების დაწყების პირველივე დღიდან,“ - ნათქვამია ეშტონისა და ფულეს ერთობლივ განცხადებაში.

მათივე განმარტებით, იმედის თვალით შეჰყურებენ ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირებას აღმოსავლეთის პარტნიორობის მომავალ სამიტზე, რომელიც ვილნიუსში 2013 წლის 20 ნოემბერს გაიმართება, ასევე ამ შეთანხმების შემდგომ ხელმოწერას ტექნიკური პროცედურების დასრულებისთანავე.

„ეს გახლავთ უკიდურესად მნიშვნელოვანი ეტაპი, როგორც ევროკავშირისათვის, ასევე საქართველოსთვის და გზას უხსნის ევროკავშირთან საზიარო ღირებულებებზე, პოლიტიკურ ასოცირებასა და ეკონომიკურ ინტეგრაციაზე დაფუძნებულ ყოვლისმომცველ მოდერნიზაციასა და რეფორმებს. ეს შეთანხმება უშუალო ზეგავლენას იქონიებს ყოველდღიურ ცხოვრებაზე და ევროკავშირთან დაახლოებს საქართველოსა და მის ყველა მოქალაქეს. ის აეწყობა არსებულ მჭირდო თანამშრომლობაზე ევროკავშირსა და საქართველოს შორის საერთაშორისო საკითხებთან დაკავშირებით. ვულოცავთ ორივე მხარის ყველა წარმომადგენელს, ვინც წვლილი შეიტანა ამ შესანიშნავი შედეგის მიღწევაში,“ - აღნიშნულია განცხადებაში.

გალის იზოლატორიდან ერთი ქართველი გაათავისუფლეს

რუსი ჯარისკაცების მიერ დაკავებული, სოფელ შამგონას მკვიდრი გოგა ჯოჯუა გუშინ სახლში დაბრუნდა. ჯოჯუას განცხადებით, ის და ბაღრი ქირია ფიჩხს აგროვებდნენ, რა დროსაც შემოვლაზე მყოფმა რუსმა ჯარისკაცებმა იარაღის მუქარით აიძულეს, თაგილონის ტერიტორიაზე გადასულიყვნენ, რის შემდეგაც ე.წ. საზღვართან ახლოს დააკავეს.

ჯოჯუა, როგორც არასრულწოვანი, გალის იზოლატორიდან გაათავისუფლეს, ხოლო ბაღრი ქირია ამ დრომდე იზოლატორში იმყოფება.

რუსმა ჯარისკავებმა ჯოჯუა და ქირია 3 დღის წინ დაკავეს.

ადვოკატი: დავით ჭაკუა ავსტრიელ სამართალდამცავებს თავად ჩაბარდა

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი დავით ჭაკუა არ დაუკავებიათ, იგი ავსტრიელ სამართალდამცველებს თავად ჩაბარდა, - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ჭაკუას ინტერესების დამცველმა ადვოკატმა მალხაზ ველიჯანაშვილმა განუცხადა.

ადვოკატის მტკიცებით, ჭაკუას გადაწყვეტილი აქვს, სიმართლე დაამტკიცოს, მართლმსაჯულების წინაშე წარდგეს და ვენაში სამართალდამცველებს იმიტომ ჩაბარდა, რომ ქართული მართლმსაჯულების არ სჯერა.

„დავით ჭაკუა დარწმუნებულია, რომ საქართველოში სასამართლო მიკერძოებული იქნება, ამიტომ ვენაში ჩაბარდა და არა საქართველოში, რათა დაამტკიცოს, რომ არავის ემალება. იქაურმა სამართალდამცავმა ორგანომ იგი გარკვეული პირობების სანაცვლოდ დაიკავა,“ - განაცხადა მალხაზ ველიჯანაშვილმა.

მისი თქმით, საქართველოს პროკურატურა ჭაკუას ექსტრადირებას ვერ შეძლებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქმეში უამრავი დარღვევაა.

„ჩემი აზრით, ექსტრადირება გამორიცხულია,“ - განაცხადა ველიჯანაშვილმა.

პროკურატურამ 24 ივლისს დავით ჭაკუას დაკავების შესახებ განცხადება გაავრცელა, რომლის მიხედვით, ჭაკუა 28 ივნისს ვენაში დაიკავეს და გირაოთი გაათავისუფლეს.

„ქართული მხარის მიერ გამოცხადებული საერთაშორისო ძებნის საფუძველზე, 28 ივნისს, ავსტრიის სამართალდამცავებმა დავით ჭაკუა, საქართველოში მისი შემდგომი ექსტრადიციის მიზნით, ქალაქ ვენაში დაიკავეს. მოგვიანებით, ვენის სასამართლოს გადაწყვეტილებით, დავით ჭაკუას შეეფარდა გირაოს თანხის გადახდა 5000 ევროს ოდენობით. იმისთვის, რომ ხელი არ შეშლოდა საექსტრადიციო პროცედურების წარმოებას, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, დავით ჭაკუას დაეკისრა საექსტრადიციო პროცედურების განმხილველი ორგანოს წინაშე გამოცხადების ვალდებულება და აეკრძალა ავსტრიის ტერიტორიის დატოვება. ამავდროულად, ავსტრიის იუსტიციის ფედერალურმა სამინისტრომ გამოთქვა მზადყოფნა დავით ჭაკუას საქართველოში ექსტრადიციის საკითხის განხილვისთვის,“ - აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

ჭაკუას ბრალი დაუსწრებლად აქვს წაყენებული. ერთ-ერთი ბრალდება ციხის სკანდალურ კადრებს ეხება, მეორე ბრალდება კი ციხის ბუნტთან არის დაკავშირებული. ჭაკუას არაადამიანური მოპყრობის წაქეზება, ჩვენების მიცემის წაქეზება და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ედება ბრალად.

ინფრასტრუქტურის სამინისტრომ პირველი 6 თვის მონაცემები შეაჯამა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ პირველი ექვსი თვის მონაცემები შეაჯამა.

როგორც მინისტრმა დავით ნარმანიამ განაცხადა, მიმდინარე წლის ექვსი თვის ინფრასტრუქტურული სამუშაოების ღირებულება 10 პროცენტით აჭარბებს 2012 წლის ამავე პერიოდში დაფიქსირებულ მონაცემებს.

„გაწეული ხარჯების საკასო შესრულება შეადგენს 223 მილიონ ლარს, რაც 21 მილიონი ლარით აღემატება გასული 2012 წლის შესაბამის პერიოდში ამ მიზნით გაწეული ხარჯების საკასო შესრულებას (202 მილიონი ლარი). საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დაფინანსების მიზნით გაწეული ხარჯების საკასო შესრულებამ 2013 წლის ექვს თვეში შეადგინა 155 მილიონი ლარი. დაფინანსებულია 44 მილიონი ლარით ანუ 40 პროცენტით მეტი ღირებულების პროექტები 2012 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ამ მიზნით, 2012 წლის ექვსი თვის საკასო შესრულება შეადგენს 111 მილიონ ლარს," - განაცხადა ნარმანიამ.

მისივე თქმით, გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვისთვის 2013 წლის ექვს თვეში გაწეული ხარჯების საკასო შესრულება შეადგენს 68 მილიონ ლარს, რაც 22 მილიონი ლარით ანუ 47 პროცენტით აღემატება ამავე მიზნით 2012 წლის ექვს თვეში საკასო ხარჯების მაჩვენებელს.

ნარმანიას ინფორმაციით, ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობის პროექტის ფარგლებში საკასო ხარჯმა შეადგინა 84 მილიონი ლარი, რაც 37 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამის პერიოდში ამ მიზნით დაფინანსებული სამუშაოების ღირებულებას.

„სამუშაოები ერთდროულად მიმდინარეობს სამ მონაკეთზე, კერძოდ: რუისი-აგარის მონაკვეთზე, ქობულეთის შემოვლით გზაზე და ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთზე," - აღნიშნა ნარმანიამ.

რაც შეეხება ტენდერებს, მისი თქმით, გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების რაოდენობა გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით გაზრდილია.

„მიმდინარე წლის პირველ ექვს თვეში გამოცხადდა სულ 183 ელექტრონული ტენდერი შესყიდვის საერთო ღირებულებით - 830 მილიონი ლარი, რაც 38 პროცენტით მეტია გასული წლის ამავე პერიოდში გამოცხადებული ტენდერების რაოდენობაზე. გამოცხადებული 183 ტენდერიდან 25 ტენდერი არის საერთაშორისო, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 692 მილიონი ლარი, ხოლო 158 ტენდერი სახელმწიფო შესყიდვებით, სავარაუდო ღირებულებით - 139 მილიონი ლარი. საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამავე პერიოდში გამოცხადდა სულ 154 ტენდერი, ჯამური სავარაუდო ღირებულებით 714 მილიონი ლარი. მათ შორის: სახელმწიფო შესყიდვებით 138 ტენდერი, შესყიდვის საერთო ღირებულებით 138 მილიონი ლარი და საერთაშორისო 16 ტენდერი, შესყიდვის საერთო ღირებულებით - 575 მილიონი ლარი. მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ კი გამოცხადდა 117 მილიონი ლარის ღირებულების ტენდერი," - აღნიშნა ნარმანიამ.

საკანონმდებლო ცვლილება და თომას ჰამარბერგის რეკომენდაციები

პირველი გვერდიდან

როგორც საინიციატივო ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, კანონპროექტთა პაკეტი, სასჯელის გამკაცრების გარდა, საპარლამენტო, სასამართლო და სამოქალაქო კონტროლის გაზრდას ისახავს მიზნად. ავტორების აზრით, უნდა გაიზარდოს მოქალაქეთა და დაინტერესებულ მხარეთა შესაძლებლობები, რათა მათ საკუთარი ინტერესების დაცვა შეძლონ.

ზვიად ქორიძე ამბობს, რომ პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია განსაკუთრებულად დაცული სფეროა და ამიტომ ეს სივრცე არ შეიძლება, ღია იყოს იმისთვის, რომ სახელმწიფომ პერსონალურ სივრცეში ლეგიტიმურად იმოქმედოს, მოქალაქეთა პერსონალური ინფორმაცია ნაიღოს და შეინახოს. ქორიძის აზრით, კიდევ ერთი არსებითი საკითხია ის, რომ ხშირად კანონში განსაზღვრულ ნორმებს ამ ტიპის ინფორმაციის უკანონო გზით მოსაპოვებლად იყენებენ.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ შალვა შავგულიძემ აღნიშნა, რომ საქართველოში პირადი და ოჯახური საიდუმლოებების უკანონოდ მოპოვების ან კანონიერად მოპოვების, მაგრამ უკანონოდ გამოყენების კუთხით პრობლემები არსებობს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ამ ღონისძიებების მოქცევა, შავგულიძის აზრით, ამ ღონისძიებათა განხორციელებაზე მეტ კონტროლს, მათ შორის სასამართლო კონტროლს უზრუნველყოფს.

კანონპროექტთა პაკეტის მიღების მომხრეა საპარლამენტო უმცირესობა. როგორც უმცირესობის წევრმა მიხეილ მაჭავარიანმა თქვა, ამ კანონპროექტის მიღებით, საბოლოო ჯამში, როგორც უკანონობა, ასევე რეგულაციის არქონა ერთხელ და სამუდამოდ გამოირიცხება.

უკანონო ჩანაწერების შესახებ რეკომენდაციები მოამზადა ევროკავშირის სპეციალურმა მრჩეველმა საქართველოს მთავრობისთვის სამართლიანობისა და კონსტიტუციური რეფორმის და ადამიანის უფლებათა საკითხებში თომას ჰამარბერგმა. მას მიაჩნია, რომ უკანონო ჩანაწერების არსებობა გამოხატულებაა უკიდურესად მძიმე დანაშაულისა, რომელიც მოითხოვს, როგორც სამართლებრივ, ისე პოლიტიკურ რეაქციას. მისი აზრით, ჩანაწერები, თავისი ყველა ასპექტით, კრიმინალურია და ამ ჩანაწერების გავრცელება დანაშაულია. **„ამ ჩანაწერების მეშვეობით ნებისმიერი შანტაჟი მძიმე დანაშაულად უნდა იყოს მიჩნეული. მიზანი უნდა იყოს ჩანაწერებში ასახული ყველა პირის კონფიდენციალურობის დაცვა. ამავე დროს, მნიშვნელოვანია დამნაშავეების წინააღმდეგ მტკიცებულებების შეგროვება. ჩემი წინადადებაა, რომ ჩანაწერების სწორი, სწრაფი და ეფექტური შესწავლისას ეს ორი მიზანი გათვალისწინებული იყოს. შესწავლის პროცედურები კომისიამ უნდა დაადგინოს. გონივრული იქნება, თუკი შესწავლაში სამოქალაქო საზოგადოების ერთი წარმომადგენელი ან მონაცემთა დაცვის ინსპექტორი მიიღებს მონაწილეობას. შესწავლის ძირითადი მიზანი ჩანაწერების განადგურებისთვის მომზადებაა,"** - აღნიშნავს ჰამარბერგი.

რეკომენდაციებში ასევე ნათქვამია, რომ ჩანაწერების შესწავლის დროს შესაძლოა ელემენტების იდენტიფიცირება, რომლებიც შეიძლება, სისხლის სამართლის გამოძიებისთვის იყოს გამოყენებული. ამიტომ, როგორც ჰამარბერგი მიუთითებს, ეს მსხვერპლის კონფიდენციალურობის უფლების დარღვევის გარეშე უნდა მოხდეს.

თომას ჰამარბერგის აზრით, იმის გამო, რომ ჩანაწერები დაუყოვნებლივ ვერ განადგურდება, ჩანაწერების არქივის კონფიდენციალურობის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და მასთან ხელმისაწვდომობა მკაცრად უნდა იყოს შეზღუდული. **„ეს ყოველივე დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს კომისიის წევრებს. კომისიას უნდა გააჩნდეს განსაზღვრული ამოცანა, რომელსაც მთავრობა დაამტკიცებს. მიზანშეწონილი იქნება, თუ კომისიას დაემატება წევრები. რეკომენდებულია, რომ ერთ-ერთი წევრი იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი იყოს,"** - აღნიშნულია თომას ჰამარბერგის რეკომენდაციებში.

ჰამარბერგი საქართველოს მთავრობას ცალკე რეკომენდაციით მიმართავს, რომელიც 12 პუნქტს მოიცავს:

1. კომისიის მანდატი და შემადგენლობა უნდა განისაზღვროს მთავრობის გადაწყვეტილებით;

2. კომისიამ უნდა განსაზღვროს თავისი წევრების როლი, სამუშაო მეთოდები და პრიორიტეტები. რეკომენდებულია, რომ პრიორიტეტი მიენიჭოს ინტიმური პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერების, ასევე წამების ამსახველი ჩანაწერების საკითხს;

3. ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი უნდა იყოს შსს-ში არსებული ვიდეოფაილების არქივის მართვის წესების განსაზღვრა. მასალების კონფიდენციალურობა უნდა იყოს დაცული. ხელმისაწვდომობა უნდა იყოს უკიდურესად შეზღუდული და რეგულირებადი, რათა თავიდან ავიცილოთ ინფორმაციის გაჟონვის რისკი;

4 კომისია უნდა შეთანხმდეს, რომ კონფიდენციალურობის უფლების დაცვა მთავარია და ჩანაწერები, რომლებიც არღვევს ამ უფლებას, უნდა განადგურდეს;

5. ვიდეოების განადგურების მომზადების მიზნით და ასევე იმის გასარკვევად, თუ რომელი ნაწილის ამოღებაა შესაძლებელი ვიდეოებიდან გამოძიებისთვის, ეს ვიდეოჩანაწერები სწრაფად და ეფექტურად უნდა გაანალიზდეს;

6. გადახედვის პროცედურები უნდა განსაზღვროს კომისიამ ისე, რომ კონფიდენციალურობა იქნეს დაცული;

7. თუ მასალა მიჩნეული იქნება აბსოლუტურად მნიშვნელოვან მტკიცებულებად და თუ კონფიდენციალურობის უფლებების დაცვა სრულად იქნება გარანტირებული, შესაძლოა, ჩანაწერები შენახულ იქნეს, როგორც მაგალითი სასამართლო გამოძიებისთვის (ხოლო გამოძიების შემდგომ განადგურდება). თუმცა, თუ არსებობს კონფლიქტი კონფიდენციალურობის უფლებებსა და საგამოძიებო ინტერესებს შორის, უპირატესობა უნდა მიენიჭოს კონფიდენციალურობის უფლებას;

8. უნდა გადაიხედოს ასევე წამების სცენების ამსახველი ვიდეოები. დაცული უნდა იყოს როგორც მსხვერპლთა, ასევე იმ დამნაშავთა კონფიდენციალურობა, რომელთა ბრალი არ არის დამტკიცებული სათანადო სასამართლო პროცედურებით;

9. სხვა ჩანაწერები უნდა გადაიხედოს ჩანაწერების შემდგომი კატეგორიზაციის მიზნით;

10. კომისია უნდა იყოს უფლებამოსილი, მოახდინოს უკანონო ჩანაწერების მსხვერპლთა ინფორმირება;

11. კომისიის მუშაობა უნდა იყოს გამჭვირვალე, გარდა იმ ნაწილისა, რაც ზიანს აყენებს კონფიდენციალურობის პრინციპებს ან ხელს უშლის გამოძიებას. კომისიამ საზოგადოებისთვის საინტერესო ყველა თავისი ნაბიჯი უნდა გაასაჯაროოს;

12. კომისიამ საბოლოო ანგარიშში დეტალურად უნდა ასახოს თავის საქმიანობა და ასევე წარმოადგინოს რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დარეგულირდეს სათვალთვალო ქმედებები მომავალში.

საკუთარი ინფორმაცია

ჯეოსელი 2013 წლის მეორე კვარტლის საქმიანობის შედეგებს წარადგენს

ჯეოსელი, როგორც თელიასონერას ჯგუფის წევრი კომპანია, ასახავს ყველა იმ პოზიტიურ ტენდენციებსა და ზრდას, რასაც თელიასონერა ახორციელებს თავისი ჯგუფის ქვეყნების ბაზრებზე და სადაც მისი მთავარი პრიორიტეტი უკვე არის არა ხმოვანი სატარიფო გეგმა, არამედ მობილური ინტერნეტი.

კომპანია თელიასონერამ გამოაქვეყნა 2013 წლის მეორე კვარტლის შედეგები. აღნიშნული შედეგები ასახავს მთელი ჯგუფის მასშტაბით გაყიდვების ორგანულ ზრდას და მომგებიანობის მაღალ მარჟას. ჯეოსელი, როგორც თელიასონერას შვილობილი კომპანია, ასევე წარადგენს თავისი საქმიანობის შედეგებს 2013 წლის მეორე კვარტლის მდგომარეობით (2013 წლის 30 ივნისის ჩათვლით).

მიუხედავად იმისა, რომ გაყიდვების მაჩვენებელი შემცირდა 8.3 პროცენტით (გასული წლის იგივე პერიოდთან მიმართებაში) და აბონენტთა რიცხვი 2013 წლის პირველი კვარტლის მონაცემთან შედარებით შემცირდა 1.89 მილიონიდან 1.83 მილიონამდე (რაც განპირობებულია სამთავრობო ტენდერის შედეგით) ჯეოსელის მომგებიანობის მარჟა (EBITDA) გაიზარდა 44.9 პროცენტამდე (38.6). ეს კი განაპირობა შემომავალ ზარებზე შემოსავლების ზდრამ და სადილერო ქსელში ეფექტური საკომისიო სტრუქტურის შემუშავებამ.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომპანია კვლავაც აგრძელებდა ქსელის გასაუმჯობესებელ სამუშაოებს. მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად წლის დასაწყისიდან ქსელს დაახლოებით 30-მდე მეორე და მესამე თაობის საბაზო სადგური დაემატა.Mმომსახურების ოფისების პერსონალი დილერების ქსელიდან დაბრუნდა ჯეოსელის ქსელში, რაც კიდევ ერთი უპირატესობაა ჯეოსელის მოსახურების თვალსაზრისით და მიზნად ისახავს პერსონალის პროფესიონალიზმის და მომზადების დონის სრულყოფას. ამ კუთხით ჩვენს მიერ გატარებილი ინიციატივები ნათლად აისახა ოფისებში მომხმარებლის მომსახურების კვლევების შედეგებში, სადაც ჯეოსელმა, კონკურენტებთან შედარებით, ყველაზე მაღალი ქულები დააგროვა.

ჯეოსელი განუწყვეტლივ სთავაზობს მომხმარებელს ინოვაციურ სერვისებსა და მიმზიდველ შეთავაზებებს. აბონენტთა კომფორტული მომსახურების თვალსაზრისით კომპანიამ მომხამარებელს ახალი სერვისი, "ონლაინ კონსულტაცია" შესთავაზა. ეს არის უფასო, კომფორტული მომსახურება, რომელზე წვდომაც შესაძლებელია როგორც კომპანიის ვებ საიტიდან, ასევე Facebook-ის ოფიციალური გვერდიდანაც. ინტერნეტ სერვისების კომფორტული მოხმარებისთვის კომპანიამ აბონენტებს შესთავაზა იაფი და ხელსაყრელი პირობები - განვადება ანდროიდის სმარტფონებზე, რომლის შეძენის შემთხვევაში აბონენტს ყოველთვიური 1 **GB** ინტერნეტი ეძლევა საჩუქრად. გარდა ამისა, კომპანიამ სოციალური ქსელების აქტიურ მომხმარებლებს ულიმიტო Facebook-ის, Одноклассники-ისა და ოპერა მინის პაკეტები შესთავაზა. გასულ კვარტალში ჯეოსელმა მომხმარებლებს ასევე შესთავაზა ტარიფი "სამი ნული" რითაც ხელსაყრელი პირობები შეუქმნა როგორც ახალ, ასევე მისი ქსელის ერთგულ აბონენტებს. აღნიშნული სიახლით მომხმარებლები სარგებლონ ნულოვანი ტარიფით სამ სასურველ ნომერთან, ასევე თვეში უფასოდ ეძლევათ 500 **SMS** და 100 **MB**.

ვინაიდან აბონენტებზე და მათ კომფორტზე ზრუნვა კომპანიის მთავარი პრიორიტეტია, ჯეოსელი ასევე ზრუნავს, მომხმარებელის პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობის ყოველმხრივ დაცვაზე. კომპანია უზრუნველყოფს თავისი მომხმარებლის ინფორმაციის საიმედო შენახვას და ასევე, მის დროულ განადგურებას მას შემდეგ, რაც აბონენტი შეწყვეტს ჯეოსელის მომსახურებით სარგებლობას. საიმედო ბიზნეს კომპანიის პრინციპებზე დაყრდნობით, ჯეოსელი, როგორს ფინურ-შვედული ჰოლდინგის, "თელიასონერას" ჯგუფის წევრი, იცავს ყველა საერთაშორისოდ დადგენილ პრინციპს, რასაც თავად თელიასონერა აღიარებს მომხმარებლის უფლებების დაცვის, ანტი-კორუფციისა და საიმედო მომწოდებელთა ქსელის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ჯეოსელის პრეზიდენტი და აღმასრულებელი დირექტორი, ბ-ნი პასი კოისტინენი: "მოხარულები ვართ, რომ ჩვენს აბონენტებს შეგვიძლია წარვუდგინოთ კომპანიის ანგარიში საინტერესო სიახლეებით, კომფორტული შეთავაზებებითა და მომსახურებებით, და ასევე, წარმოვაჩინოთ ბიზნესის პოზიტიური, ზრდადი ტენდენციები, მიუხედავად შექმნილი წინააღმდეგობებისა და ბიზნესისათვის არც თუ ისე საიმედო გარემო პირობებისა, რაც ბოლოდროინდელ სახლმწიფო ტენდერებში მონაწილეობის შედეგებით გამოიხატა და რამაც ჩვენი კორპორაციული აბონენტების გარკვეული რაოდენობის კონკურენტის ქსელში გადასვლა განაპირობა. თუმცა, გასულ პერიოდში განვითარებული ზემოთთქმული მოვლენების მიუხედავად, ჩვენმა კომპანიამ მომგებიანობის საკმაოდ დადებითი და ზრდადი ტენდენციები წარმოაჩინა, რაც საიმედო და მყარი ბიზნესის წარმოების შედეგია".

მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ www.teliasonera.com

რატომ ვებრძვით წინაპრებს?!

პირველი გვერდიდან

სარესტვარაციო სამუშაოების შემსრულებელთა და დამკვეთა, ანუ ადგილობრივი ეპარქიის აზრით, კი ჩვეულებრივ სამუშაო პროცესთან. არქეოლოგიური და გაწმენდითი სამუშაოები მეუფე ანდრიას სურვილით დაიწყო. ამ ეტაპზე ტაძრის სარესტავრაციო პროექტს საქართველო ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტო უძღვება. წარმოდგენილი წერილი აღნიშნული დისკუსიის ნაწილია. წერილის ავტორი ნუცა ერისთავი სამთავისში დაკრძალული ამილახვრებისა და ერისთავების შთამომავალია. „24 საათი“ უცვლელად გთავაზობთ ავტორის გამოხმაურებას.

ამა წლის 19 ივნისს რუსთავი 2-ის ტელეარხის დილის გადაცემაში, ნაჩვენები იყო ორი ახალგაზრდა ჟურნალისტის - დავით აბრამიშვილისა და გიორგი კოკაიას ნამუშევარი. მათ სამთავისის ტაძარში, სადაც დიდი ხანია მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები, დიდი დაკვირვებითა და გულდასმით აღბეჭდეს ფირზე ამჟამინდელი საქმის ვითარება, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ. ვინაიდან გადაღებული მასალა დიდია, ხოლო დილის გადაცემის დრო შეზღუდული, ამიტომ ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტი დროის მოცემულ მონაკვეთში ვერ ჩაეტია, ამიტომ თავს უფლებას ვაძლევ ცოტა უფრო ვრცლად გაგაცნოთ საქმის ვითარება.

სამთავისის ტაძარი აშენებულია 1030 წელს ილარიონ სამთავნელ ეპიზკოპოსის ვაჩე ყანჩაელის ძის მიერ. ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის მიერ 472 წელს აქ აგებული იყო ეკლესია, მაგრამ იმდროინდელი ნაგებობიდან აღარაფერია შემორჩენილი (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა ტ. 5. 1990 წელი). VI საუკუნი 50-იან წლებში ასურელმა მამა ისიდორემ ააშენა აქ ეკლესია. ძველად აქ იყო საგანმანათლებლო კერა, სადაც მოღვაწეობდნენ მწიგნობრები და კალიგრაფები. ეს იყო საქართველოს უძველესი საეპისკოპოსო, რომელიც 1811 წელს გაუქმდა.

2004 წელს სამთავისის ტაძრის გალავანში დაიწყო მიწის სამუშაოები, როგორც პროცესის ხელმძღვანელი, არქეოლოგი გიორგი მახარაძე განმარტავს, ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა გალავნის შიდა არის განთავისუფლება-გასუფთავებას მიწაყრილისაგან, რათა ტაძრის გარემოსათვის მიეცათ თავდაპირველი იერსახე. ამ სამუშაოს მიმდინარეობისას არ ჩათვალეს საჭიროდ გალავანში მდებარე საფლავების დაცვა, ამიტომ იქაურობა მოფენილი იყო მიცვალებულთა ძვლებით და ბავშვების სათამაშოდაც კი გახდა. იქაური ღვთისნიერი მღვდელი მამა კირილეს მიერ ეს ძვლები მოთავსებულ იქნა დიდ ტომრებში (რაც მე თვითონ ვნახე, ხუთი თუ ექვსი ტომარა იყო), რომლებიც გალავნის ჩრდილო-დასავლეთ ძირში გათხრილ ორმოში მოათავსეს. აღსანიშნავია, რომ ტაძრის გარეთა სამუშაოები ტარდებოდა ძეგლთა დაცვის დეპარტამენტთან შეუთანხმებლად. მაშინდელი დეპარტამენტის უფროსის თქმით (იგ. Nიკოლოზ ვაჩეიშვილი), მისთვის არავის არ წარუდგენია სათანადო დოკუმენტაცია, რომელიც უნდა ახლდეს ასეთი მასშტაბის საძიებო სამუშაოს (მეცნიერული დასაბუთება და მიზანი, გეგმა, ვადები, ხარჯთაღრიცხვა და სხვა). მისი ვარაუდით, ამ ღონისძიებას მეუფე ანდრია განაგებს. ამ მიწაყრილის სამუშაოებს შეეწირა ნიკოლოზ იაკინთეს ძე ალექსი-მესხიშვილის (1839-1907) საფლავის იერსახე. ეს პიროვნება იყო სოფელ ქვემო ჭალის მკვიდრი. XVIII-XIX საუკუნეების განთქმულ მწიგნობარ-კალიგრაფთა, საეკლესიო და საერო ცნობილ მოღვაწეთა ალექსი-მესხიშვილების ოჯახის წარმომადგენელი. უაღრესად განათებული, ფართო თვალსაწიერის მქონე პიროვნება. იყო მელომანი, მისი ბიბლიოთეკა შეიცავდა 2000 ათასზე მეტ წიგნს (ამ წიგნების ნაწილი სოფლის ბიბლიოთეკას გადასცა), კოლექციონერი, მისი კაბინეტი მუზეუმს უფრო ჰგავდა. აქ თავმოყრილი იყო სხვადასხვა სახის ძველებური იარაღი, აბჯარი, სხვადასხვა ეროვნული ტანსაცმელი, განსაკუთრებით კავკასიელ ხალხთა, საყოფაცხოვრებო ნივთები. აინტერესებდა ხელოვნება, თეატრი. თბილისში პირველად მისი რეჟისორობით დაიდგა ქართულ ენაზე აღ. სუმბათაშვილიუჟინის „ღალატი“ რუსთაველის სახელობის თეატრში (ყოფილი არტისტული საზოგადოება) მოყვარულთა ძალებით. მოყვარულთა წრე ჩამოაყალიბა ქვემო ჭალაში. რეპეტიციები და წარმოდგენებიც იმართებოდა მისივე სახლში. სპექტაკლებზე დასასწრებად მეზობელი სოფლებიდანაც მოდიოდნენ. გატაცებული იყო მინერალური ქვებით და აგროვებდა მათ საქართველოს სხადასხვა კუთხეში. მისმა მეუღლემ, ამ გატაცების გათვალისწინებით, საფლავიც შესაფერისი გაუკეთა - შავი მარმარილოს ჯვარი დგას კლდის ნატეხზე, რომელზედაც წარწერაა გაკეთებული. ამ ძეგლის გარშემო ოთხივე კუთხეში იყო დაბალი ლამაზი ქვის ბოძები, ერთმანეთთან ჯაჭვით დაკავშირებული. ჯერ გაქრა ჯაჭვები, მერე კი ბოძებიც დაანგრიეს და გადაყარეს. მსგავსი ბედი ეწია მამამისის - იაკინთე დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილის საფლავს. მისი საფლავის ლითონის ფილას ქონდა ჩუქურთმიანი ჩარჩო, რომელიც გარეთ გაიტანეს და შემდეგ ნაგავთან ერთად სადღაც გადააგდეს. მსგავსი ბედია ეწია 1902 წელს გარდაცვლილი ამილახვრის საფლავს (დაკრძალულია გალავანში), რომელსაც შემოარღვიეს რკინის ღობე-გალავანი, ასევე გააშიშვლეს მსგავსი საფლავები. ეტყობა ვიღაცას არ აკმაყოფილებდა გასული საუკუნეების ჭირისუფალთა გემოვნება და გადაწყვიტა თვითნებურად შეეცვალა წარსული და თანაც ამ რკინით ესარგებლა (ისინი კოხტად ერთმანეთზე ელაგა გალავანში და მერე გაქრა). ზემოთ აღნიშნული მიწის სამუშაოს მიმდინარეობისას ტაძრის სამხრეთით აღმოჩნდა კედლების ნანგრევები „დადგინდა, რომ აქ გამოვლენილი ნახევარწრიული მოყვანილობის კედელი შესაძლოა ძველი ეკლესიის ნაშთები ყოფილიყო“ (გ. მახარაძე „ისტორინი“ N4, 2013, გვ. 89).

ამ აღმოჩენამ შეაჩერა გალავანში მიწის სამუშაოები და ახლა გათხრებმა ტაძრის შიდა არეშიც გადაინაცვალა. როგორც არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელმა, ბატონმა გიორგი მახარაძემ მითხრა, მას აინტერესებდა XI საუკუნეში კედლების შენებისას ქვის წყობა, აგრეთვე აპირებდა იატაკის დადაბლებას მის პირვანდელ დონემდე ე.ი XI საუკუნემდე. ამავე დროს დამამშვიდა, რომ საფლავებს არ შეაწუხებდა. მისმა ნათქვამმა დამაეჭვა და გადავწყვიტე შემეწუხებინა მეუფე ანდრია, მაგრამ მისმა მდივანმა მიპასუხა, რომ მეუფე გორში არ ბრძანდებოდა. რამოდენიმე დღის შემდეგ სრულიად შემთხვევით ტელევიზიით გავიგე, რომ ტაძარში სამი მიცვალებული ამოუსვენებიათ: ორი ქალი და მამაკაცი, ძალიან ლამაზად შემოსილი. მეორე დღეს ჩავედი სამთავისში. მართალი გითხრათ გამაოგნა იმან, რაც იქ დამხვდა: შუა ტაძარში თითქმის გუმბათამდე ეყარა სამხრეთ კედელთან ამოღებული მიწა, მთელი მოზაიკური იატაკი, რომელიც იტალიელ არქიტექტორ რიპარდის მიერ 1847 წელს იქნა დაგებული, აღარ არსებობდა. მისი ნამტვრევები გარეთ ნაგავში ეყარა, საკურთხეველი ძირფესვიანად გადათხრილი, საფლავის ქვები გაშიშვლებული და მასზე დაკრული წარწერებიანი მარმარილოს ფილები აძრობილი. რამდენიმე ქვაზე ჯერ იყო შემორჩენილი, როგორც ჩანს მათი მოძრობა ვერ მოასწრეს ან ვერ მოახერხეს. დანარჩენი ფილები გადატანილი იყო გარეთ და ერთმანეთზე დაყრილი, ზოგი დაბზარულ-დამტვრეული, ზოგი მთელი, მაგალითად მიხეილ გივის ძე ამილახვრისა, მისი მშობლების და ზოგიერთი სხვისა.

იქ მყოფ გიორგი მახარაძეს ვკითხე თუ რას უპირებდნენ ამ ფილებს. მან მიპასუხა: „მეუფე ანდრიას ჯერ არა აქვს გადაწყვეტილი იგივე ფილებს დააგებს თუ ყველა საფლავს ერთნაირ ფილებს გაუკეთებსო“. მართალი გითხრათ ამ პასუხმა გამაოგნა და აღმაშფოთა, თუმცა თუ ერეკლე II-ის და ვახტანგ გორგასლის საფლავები გაბედეს და ხელყვეს სვეტიცხოველში უგუნურმა მესვეურებმა, ალბათ არ უნდა გამკვირვებოდა ეს განცხადება. საბედნიეროდ ამ შემთხვევაში გონიერებამ გადასძლია. ბატონმა გიორგიმ მითხრა, რომ ის თავის სამუშაოს უკვე ათავებს და ახლა ჯერ რესტავრატორებზეა. გარეთ დაგდებული ფილების ბედი გადაწყდა, ჩემი თხოვნით ისინი გადაიტანეს დაცულ ადგილას. მხოლოდ ერთი დიდი ქვა, რომელსაც არ ქონდა მოცილებული მარმარილოს ფილა, დარჩა გარეთ. როცა მიზეზი ვიკითხე, ბატონმა გიორგიმ მიპასუხა, რომ ეს ქვა ძალიან მძიმეა, მისი გადატანა სხვა ადგილას ძნელია და შემდეგ ისევ პირდაპირ ტაძარში შევიტანათო. აღმოჩნდა, რომ ეს ქვა, თავისი ულამაზესი ფილით და მხედრული ასოებით შესრულებული ნატიფი წარწერით, ეკუთვნოდა გივი ანდუყაფარის ძე ამილახვარის შვილიშვილს - ბარძიმ დავითის ძე ამილახვარს. ვკითხე ბატონ მახარაძეს იცის თუ არა ვინ იყო გივი ამილახვარი, აღმოჩნდა, რომ არ იცის. მართალი გითხრათ გავოცდი - ადამიანი აწარმოებს ამილახვართა საგვარეულო საყდარში გათხრებს და არ იცის ვინ იყო ამ გვარის ყველაზე გამოჩენილი პიროვნება.

გივი ანდუყაფარის ძე ამილახვარი მოღვაწეობდა XVII საუკუნის მიწურულს და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. დიდი გავლენის მქონე სახელმწიფო მოხელე, ნიჭიერი მხედართმთავარი, სპარსეთის წინააღმდეგ 1736-1742 წლებში აჯანყების მეთაური, ამასთანავე დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე: მან აღადგინა ბეთლემის (ფეთხაინის) ეკლესია თბილისში, შიომღვიმის მონასტრის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, შეაკეთა სვეტიცხოვლის ტაძარი, თბილისში 1753 წელს ააშენა წმინდა გიორგის სახელობის ქაშუეთის ეკლესია, რასაც მოწმობდა დღევანდელი ქაშუეთის ქვემო ტაძრის კარიბჭის მარცხენა მხარეს კედელში მოთავსებული მარმარილოს ფიცარი, რომელზედაც ლამაზი მხედრული წარწერა გვაუწყებდა: „ჩვენ ამირახორმან გივმან ძემან ანდუყაფარ ამირახორისამ და თანამეცხედრემან ჩვენმან ორბელის ძის ასულმან ბანგუამ აღვაშენეთ ეკლესია ესე ღვაწლით შემოსილისა მთავარმოწამის გიორგისა ზღუდითა, ბურჯით და სახლით. ვინც იხილვებდეთ შენდობასა ბრძანებდეთ, აღეგო მეფობასა კეთილმსახურის გვირგვინოსანის თეირუმაზისა და ძისა მისისა კეთილმსახურის მეფისა ირაკლისა, ხოლო მამამთავრობასა ანტონი დავითიანისა, განხორციელებისაგან სიტყვისა ღვთისასა ჩლნგ“ (1753 წელსა).

დაახლოებით ერთი წელია რაც ეს წარწერიანი მარმარილოს ფიცარი გაქრა კედლიდან და მის მაგიერ გაჩნდა დაზიანებული წარწერიანი უხეიროდ ჩადგმული ფილა. ვინ ან რისთვის ჩამოხსნა სამნახევარი საუკუნის წარწერა, ვერ დავადგინე. ვისაც ვკითხე არავინ არაფერი იცოდა?!

გივი ამილახვრის ყველაზე დიდი დამსახურება ქვეყნის წინაშე ეს არის სიონის ტაძრის გადარჩენა მეჩეთად გადაკეთებისგან 1727 წელს. ამ დიდი დამსახურებისათვის მიტროპოლიტ დომენტის და მის კრებულს განუწესებია ყოველწლიურად ახალკვირის წინა დღის შაბათს ჟამის წირვა სიონის საკათედრო ტაძარში გივი ამილახორისა და მისი შთამომავლობის ლოცვით მოსახსენიებლად (ისიდორე დოლიძის „ქართული სამართლის ძეგლები“ ტ. N. გვ. 711-713. „ჟამის წირვის განწესების წიგნი დომენტი თბილელისა გივი ამილახორისადმი“ 1727 წელი 8 აპრილი).

საქართველოს გუბერნიად გამოცხადების შემდეგ ეს განწესება გაუქმდა. XIX საუკუნის მიწურულს ალავერდელ ეპისკოპოს კირიონს აღუდგენია ეს წესი, ხოლო საქართველოს გასაბჭოების შემდგომ ის მივიწყებას მიეცა. 1995 წელს გივი ამილახვარის შთამომავალმა - ეკატერინე ჩოლოყაშვილმა, დედით ამილახვარმა თხოვნით მიმართა მის უწმინდესობას, სრულიად საქართველოს პატრიარქს ილია II-ს თხოვნით რათა განახლებულიყო გივი ამილახორისა და მისი შთამომავლობისათვის ჟამის წირვის წესი. ეს წესი აღდგენილ იქნა, მაგრამ მისი შვილიშვილის საფლავის ქვა, რომელიც დროებით გარეთ იყო გამოტანილი აღარც გარეთაა და აღარც საყდარში! იმედია ნაგავს არ გადააყოლეს. მსგავსი ბედი ეწია ჩვენი წმინდანის შალვა ერისთავის პირდაპირ შთამომავალს - მანანა (მარიამ) მირმანოზის ასულ ერისთავის საფლავის ქვას, რომელიც საყდრიდან გარეთ გალავანში გაიტანეს. ამილახვრების თაოსნობით ტაძრის ბოლო სარემონტო სამუშაო მიმდინარეობდა 1911 წლიდან 1915 წლამდე. ამ საქმის ხელმძღვანელობა დაავალეს მიხეილ გივის ძე ამილახვარის სიძეს - სოლომონ ჩოლოყაშვილს (მომავალში მევენახეობა-მეღვინეობის საკავშირო ინსტიტუტის დამაარსებელი, აკადემიკოსი), რომელმაც ხელშეკრულება დადო იტალიელ მეწარმესთან ანდრიო ლეტისთან. ეს საბუთები დღემდე ინახება ჩვენს ოჯახში.

ტაძარში, როგორც იქნა არქეოლოგიური „ნგრევა“ და არანორმალური არქეოლოგიური გათხრები დამთავრდა და ტაძრის შემდგომი ბედი რესტავრატორთა ხელში გადავიდა, მაგრამ როგორც ამბობენ „ვაის გავეყარე და უის შევეყარე“-ო. ტაძარში გაიყვანეს იატაკის გათბობა, რადგან როგორც მეუფე ანდრიამ ბრძანა „გაუსაძლისი მდგომარეობა იყო“. საინტერესოა თერთმეტი საუკუნის განმავლობაში, როგორ გაუძლეს ამ ეკლესიის მსახურებმა ამ მდგომარეობას, მაგრამ როგორც ეტყობა გამყინვარების ხანა დგება და თადარიგი უნდა დავიჭიროთ, ამიტომ გაყვანილ მილებზე უკვე აგებენ უსახურ, ნაცრისფერ, ოთხკუთხა ფილებს და შიგ აქაიქ აყოლებენ ასეთივე ზომის ახალწარწერებიან თეთრ ფილებს. როგორც ჩანს რესტავრატორმა დავით გაგოშიძემ თავი არ შეიწუხა დამტვრეული ფილების აღდგენით და როცა უთხარი ამ სიმახინჯეს რატომ აკეთებთ მიპასუხა: „მე კი მომწონს“-ო. რესტავრატორის ასეთ მეცნიერულად დასაბუთებულ პასუხზე რაღა მეთქმოდა. საინტერესოა ტაძრის მოხატულობის რესტავრაციასაც თავის გემოვნებით ჩაატარებს?! სამწუხარო კიდევ ის არის, რომ ბედად გადარჩენილი წარწერებიანი ფილები, უკვე დაბრუნებული, შიგ ტაძარში განიცდიან უდიერ მოპყრობას. მაგალითად მიხეილ ამილახვრის დიდი მარმარილოს ფილა ტაძრიდან გატანისას იყო მთელი, ახლა კი შუაზეა გადატეხილი - არა უშავს დავაწებებთო! ხელახლა დაფენილ ფილებს მიმხმარი აქვს ცემენტის კოშტები (იატაკის დაგებისას ცემენტის გაუფრთიხლებელი მოხმარების შედეგად). ნუთუ ძნელი იყო ქაღალდის გადაფარება ამ ასწლოვანი ასაკის ფილებისათვის? ახლა რომ მოაცილო ეს ტალახი, უნდა გახეხოს მისი ზედაპირი და მასთან ერთად წარწერაც და ხშირ შემთხვევაში ჩუქურთმაც. სამწუხაროა, რადგან ეს წარწერები ხშირად ასახავენ პიროვნების არამარტო ვინაობას, არამედ მის საქმიანობას და აგრეთვე სხვადასხვა უცნობ ისტორიულ ფაქტებსაც. იყო აგრეთვე დაპირება, რომ თუ არქეოლოგიური გათხრები მოითხოვენ მიცვალებულის დროებით შეწუხებას, სამუშაოს შესრულების შემდეგ მას ისევ თავის ძველ ადგილას ჩაასვენებენ, მაგრამ ეს დაპირება ფუჭია, ვინაიდან სამხრეთის და ჩრდილოეთის კედლების გასწვრივ გაკეთებულია დაახლოებით ორმეტრიანი სიგანის ღრმა თხრილი. ამ ადგილას იყო დაახლოებით 10-12 საფლავი, ამიტომ მათი ნეშტი ალბათ უკვე ამოღებულია, მაგრამ არსად არა ჩანს. სამაგიეროდ ეკრანზე კარგად ჩანს სხვადასხვა ძვლებით სავსე დიდი ყუთი და ამ თხრილის ნაპირთან მე თვითონ ვიპოვე ხერხემლის მალა. რაც შეეხება თავიდანვე ამოსვენებულ სამ მიცვალებულს მე მაქვს გადაღებული მათი სხეულის ის ნაწილები, რომლებიც ჩანდა კუბოს დაზიანებული სახურავიდან: მამაკაცის მხარი ეპოლეტით და ქალის ფეხი შავ ფეხსაცმელში. საბოლოოდ რა შეგვრჩა? შეურაცყოფილი წინაპართა საფლავები, დამახინჯებული ინტერიერი - როდესაც შედიხარ ტაძარში, მაპატიეთ, მაგრამ თავი გგონია აბანოში ან ბაზარში, მხოლოდ იმიტომ რომ თვეში რამოდენიმე საათი წირვა გამთბარი იატაკის გარემოში ჩატარდეს.

მიკვირს, რატომ არ უსმენთ გულით ჩვენს ბრძენ წინაპრებს, რატომ ვანადგურებთ და ვამახინჯებთ წინაპართა ნაამაგარს და ამით ჩვენს შემდგომ თაობებს ვუსპობთ მომავალს, ფიზიკურს თუ არა სულიერს კი ნამდვილად.

ბოდიშს ვიხდი რომ სიტყვა ასე გამიგრძელდა.

პატივისცემით,

ნ. ერისთავი

ამერიკამ ეგვიპტისთვის F-16-ის მიწოდება გადადო

ამერიკამ ეგვიპტის შეიარაღებული ძალებისთვის ოთხი გამანადგურებლის «F-16-ის“ მიწოდება დროებით გადადო. პენტაგონის წარმომადგენელ ჯორჯ ლითლის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება ეგვიპტეში არსებულმა ვითარებამ განაპირობა. 3 ივლისს ქვეყნის არმიამ მოქმედი პრეზიდენტი მოჰამედ მურსი გადააყენა და ეგვიპტეში მურსის მხარდამჭერებსა და პოლიციას შორის დაპირისპირება ამ დრომდე არ ცხრება. ვაშინგტონი ამ დროისთვის განიხილავს, არის თუ არა მურსის ჩამოგდება სამხედრო გადატრიალება. ქვეყანაში არსებული კანონის თანახმად, ამერიკა ვერ დაეხმარება იმ ქვეყანას, სადაც დემოკრატიული გზით არჩეული ქვეყნის ლიდერის წინააღმდეგ სამხედრო გადატრიალება მოხდა. ამერიკის თავდაცვის მინისტრმა ჩაკ ჰეიგელმა ამ გადაწყვეტილების შესახებ ეგვიპტელ გენერალ სისის ტელეფონით აცნობა.

გუშინ ეგვიპტის არმიის ხელმძღვანელმა მოსახლეობას დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღებისაკენ მოუწოდა, რათა შეიარაღებული ძალებს ხალხმა «პოტენციური ტერორიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლისთვის მანდატი მისცეს. აბდელ ფატაჰ სასიმ დაამატა, რომ ის არეულობის ნაცვლად ეროვნული შერიგებისაკენ მოუწოდებს. «მუსლიმანმა ძმებმა“ კი ეს მოწოდება სამოქალაქო ომისკენ მოწოდებად შეაფასეს.

ჰეზბოლა: ევროკავშირმა ისრაელს მკვლელობის ლიცენზია მისცა

ცოტა ხნის წინ ევროკავშირმა ლიბანური დაჯგუფება «ჰეზბოლას“ სამხედრო ფრთა შავ სიაში შეიყვანა. «Euobserver“-ის ცნობით, დაჯგუფების ლიდერმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ ამით ისრაელს ნებისმიერი იერიშისთვის გზა ეხსნება. «ევროკავშირის ლიდერებმა სრული პასუხისმგებლობა აიღეს ლიბანზე ისრაელის მხრიდან განხორციელებულ ნებისმიერ თავდასხმაზე. მათ ისრაელის მიერ ლიბანზე დარტყმას კანონიერება შესძინეს, ვინაიდან ისრაელი ახლა იტყვის, რომ ის ტერორიზმის წინააღმდეგ იბრძვის და ტერორისტების სამიზნეებს ბომბავს,“ - განაცხადა სატალევიზიო მიმართვისას დაჯგუფების ლიდერმა ჰასან ნასრალამ.

მისი თქმით, «ჰეზბოლას“ შავ სიაში შეყვანა ევროპის ქვეყნების სუვერენიტეტს ძირს უთხრის, ვინაიდან ეს ამ ქვეყნებმა ამერიკისა და ისრაელის ზეწოლის გამო განახორციელეს: «ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანა აღნიშნავდა, რომ ეს ნაბიჯი არალეგალური იყო, თუმცა მათი დამორჩილება მოახერხეს,“ - განაცხადა ნასრალამ, რომელმაც ორგანიზაციის ამ ნაბიჯს შეურაცხყოფა უწოდა. მისი თქმით, შავ სიაში ევროკავშირმა ისრალის არმია უნდა შეიყვანოს, რომელიც არაბ ხალხს ხოცავს: «ის, ვინც ხალხის ხოცვა-ულეტას აწყობს, პალესტინელების მიწას იტაცებს და მათ საკუთარ ტერიტორიაზე დაბრუნებაში ხელს უშლის, არ არიან ტერორისტები?“

შიიტური დაჯგუფება «ჰეზბოლა“ 1980-იან წლებში ლიბანში სამოქალაქო ომის დროს შეიქმნა. ერთ-ერთი მოტივი, რის გამოც ევროკავშირმა «ჰეზბოლა“ შავ სიაში შეიყვანა, ის არის, რომ სირიის ქალაქ ქუსეირში პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის სამთავრობო ძალებმა, რომელსაც, გავრცელებული ინფორმაციით, «ჰეზბოლას“ მეომრები ეხმარებიან, სუნიტი მეამბოხეები დაამარცხა. თუმცა, დიდი ბრიტანეთის დაზვერვის ყოფილი ოფიცერი ალასთარ კრუკი «Euobserver“-თან სუბრისას აღნიშნავს, რომ ქუსეირის შემთხვევა იმაზე რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

სირიაში პოლონელი ფოტოგრაფი გაიტაცეს

« Wirtualna Polska“-ს ინფორმაციით, 24 ივლისს სირიაში პოლონელი ფოტორეპორტიორი მარცინ სუდერი გაიტაცეს. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სპეციალური ჯგუფის შექმნის ბრძანება გასცა, რომელიც მომხდარს გამოიძიებს და ფოტოგრაფის ძებნას შეუდგება. ჯგუფში ის პოლონელი დიპლომატები შევიდნენ, რომლებიც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მუშაობენ.

ქვეყნის დიპლომატიური უწყების ცნობით, ვითარებას ის ართულებს, რომ სუდერს სირიაში წასვლის შესახებ სახელმწიფოსათვის არ უცნობებია. პოლონეთის ხელისუფლება, ორი წლის განმავლობაში საკუთარ მოქალაქეებს სირიაში წასვლისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებს. «როიტერის“ ცნობით, სუდერი ისალმისტმა შეიარაღებულმა მებრძოლებმა გაიტაცეს. სუდერი ქვეყანაში პოლონური ფოტოსააგენტო „ Studio Melon“-ის დავალებით ჩავიდა. დღეისთვის სირია ჟურნალისტებისთვის ყველაზე სახიფათო ქვეყნად მიიჩნევა. 2012 წელს ამ ქვეყანაში 39 ჟურნალისტი მოკლეს და 21 გაიტაცეს. ამასთან, ჟურნალისტებს, სამთავრობო ძალების გარდა, თავს ესხმიან მეამბოხეებიც.

სირიაში კონფლიქტი 2011 წელს დაიწყო, რასაც 100 000 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ჩინელ პოლიტიკოსს ბრალი წაუყენეს

ჩინეთის ქალაქ ჩუნცინის კომპარტიის კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი ბო სილაი კორუფციაში, ქრთამის აღებასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში დაადანაშაულეს. ბო სილაის ბრალდება ქალაქ ძინანის პროკურატურამ წაუყენა. ბო სილაი ჩინეთში პოპულარულ პოლიტიკოსად მიიჩნეოდა და ივარაუდებოდა, რომ 2012 წელს შემოდგომაზე ჩინეთის ხელისუფლების შეცვლის დროს ერთ-ერთ მაღალ თანამდებობას დაიკავებდა. თუმცა, 2011 წელს იგი სკანდალის ცენტრში აღმოჩნდა - მისი ერთ-ერთი დაქვემდებარებული ვან ლიცზიუნი ამერიკის საკონსულოში მივიდა და განაცხადა, რომ მისი უფროსის მეუღლე გუ კაილაი ბრიტანელი ბიზნესმენის მკვლელობაში მონაწილეობდა. ამის შემდეგ ბო სილაის პარტიული თანამდებობა ჩამოართვეს და პარტიიდანაც გარიცხეს.

2012 წლის აგვისტოში ბო სილაის მეუღლეს გუ კაილაის, რომელიც ბრიტანეთის მოქალაქის მკვლელობაში ცნეს დამნაშავედ, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. სექტემბერში კი ვან ლიცზიუნი სახელმწიფო ღალატში და სხვა დანაშაულებში ცნეს დამნაშავედ და 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

მოამზადა თამთა კახაძემ

სარკინიგზო კატასტროფა ესპანეთში

პირველი გვერდიდან

მატარებელი მადრიდიდან ფეროლში, გალისიის პროვინციაში მიდიოდა. მასში სულ 218 მგზავრი იმყოფებოდა. ეკიპაჟის წევრების რაოდენობა მითითებული არ არის რელსებიდან გადავიდა ყველა, 13-ვე ვაგონი. ზოგში ცეცხლი გაჩნდა, ბოლოს წინა ვაგონი მთლიანად დაჭმუჭნულია. მაშველებს ამ მდგომარეობაში მყოფი ვაგონებიდან დაღუპულების და დაშავებულების ამოყვანა გაუჭირდათ. მათ 300-ზე მეტი პოლიციელი ეხმარებოდა. სამაშველო ოპერაცია 10 საათს გაგრძელდა. 74 ადამიანი ადგილზევე დაიღუპა და მათი ცხედრები მაშველებმა ამოიტანეს. კიდევ 4 კაცი საავადმყოფოში გარდაიცვალა. ხელისუფლებამ მოსახლეობას სისხლის ჩაბარებისკენ მოუწოდა.

პრემიერ-მინისტრმა მარიანო რახოიმ გვიან ღამითვე მოიწვია მთავრობის საგანგებო სხდომა. ხუთშაბათ დილას კი კატასტროფის ადგილზე თავად ჩავიდა. მარიანო რახოი თავადაც სანტიაგო დე კომპოსტელადანაა.

კატასტროფის მიზეზებზე გადაჭრით საუბარი ჯერ ნაადრევია, ეს საფუძვლიანი გამოძიების შემდეგ გაირკვევა, თუმცა პირველი დასკვნების თანახმად, საქმე აქვთ უბედურ შემთხვევასთან და არა ტერაქტთან ან საბოტაჟთან. მატარებელში მსხდომი გადარჩენილი მგზავრების მონათხრობის თანახმად, კატასტროფის წინ მატარებელი ძალიან სწრაფად მიდიოდა და დიდი სიჩქარით შევიდა მოსახვევში. ოფიციალური პირებიც ადასტურებენ, რომ ამ მონაკვეთზე დასაშვები სიჩქარე საათში 80 კილომეტრია, ხოლო მატარებელი მოძრაობდა, სხვადასხვა გათვლებით, 180 ან 220 კილომეტრით საათში. ზოგიერთი თვითმხილველი ჰყვება, რომ კატასტროფისას აფეთქების მსგავსი ხმა გაისმა.

გუშინ დღის მეორე ნახევარში ეს ვერსია დადასტურდა, როდესაც გამოქვეყნდა მემანქანის საუბრის ჩანაწერები დისპეტჩერთან ავარიამდე და მის შემდეგ წუთებშიც. იქ ნათლად ისმის, როგორ ეუბნება მემანქანე დისპეტჩერს, რომ საათში 190 კილომეტრით მიდის. უკვე ავარიის შემდეგ წუთებში მემანქანე ამბობს (სანამ გაიგებდა, რა ტრაგედია დატრიალდა) «იმედია, არავინ დაღუპულა, მაშინ ეს ჩემს სინდისზე იქნება.» ორიდან ერთ-ერთი მემანქანე უკვე იქცა ეჭვმიტანილად. გამოქვეყნდა მატარებლის კატასტროფის ამსახველი ვიდეოჩანაწერიც.

ევროპის ბევრ რკინიგზაზე სისტემა «ERTMS»-ი მუშაობს, რომელიც მატარებლების მიერ სიჩქარის გადაჭარბებას აკონტროლებს. თუმცა ამ მონაკვეთზე ის ჯერ დანერგილი არ იყო. სატრანსპორტო კომპანია «რენფე»-ში განაცხადეს, რომ მატარებელი წესრიგში იყო და მან შემოწმება კატასტროფის დღეს, ოთხშაბათ დილით გაიარა.

ერთ-ერთი გადარჩენილი მგზავრი ესპანური რადიოსადგურისთვის მიცემულ ინტერვიუში ჰყვებოდა, რომ დარტყმის ძალამ მგზავრები ჯერ იატაკზე გააკრა. როდესაც მათ მატარებლიდან გამოსვლა სცადეს, დააფიქსირეს, რომ შემადგენლობას ცეცხლი ეკიდა. გარშემო დაღუპულთა ცხედრები ეყარა.

გალისიელმა ჟურნალისტმა ფრანსისკო კამინომ «ბი-ბი-სი»-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მთელი პროვინცია შოკშია. „ეს წყნარი ადგილია, სადაც ჩვეულებრივად არაფერი ხდება, არც მნიშვნელოვანი და არც ტრაგიკული,“ - თქვა მან.

ავტონომიური ოლქის მთავრობის თავმჯდომარემ ალბერტო ნუნეს ფეიხოომ განაცხადა, რომ ოლქში გამოცხადებულია 7-დღიანი გლოვა, ყველაზე გრძელი ოლქის ისტორიაში. მთელ ესპანეთში გლოვა 3 დღეს გაგრძელდება.

ამ პერიოდში სანტიაგო დე კომპოსტელაში ყველა საზეიმო და გასართობი ღონისძიება გაუქმდა. არადა სანტიაგო დე კომპოსტელაში ამ დღეებში თავს იყრიდნენ ტურისტები, წმინდა იაკობის - ესპანეთის მფარველის - დღის საზეიმოდ. ამ წმინდანის სხეულის ნაწილები სწორედ ამ ქალაქში, ერთ-ერთ ტაძარშია დამარხული.

2004 წელს მადრიდში რკინიგზის სადგურში მომხდარი აფეთქების შედეგად 191 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 1,4 ათასი დაიჭრა. თუმცა ის იყო ტერაქტი, რომელიც „ალ ქაიდასთან“ დაკავშირებულმა ისლამისტურმა ორგანიზაციამ მოაწყო.

ამერიკა სატელეფონო მოსმენებზე უარს არ ამბობს

სნოუდენი კი ისევ „შერემეტიევოშია“ გაჩხერილი

თამთა კახაძე
ივა შილაკაძე

ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ უარყო კანონპროექტი ამერიკის სპეცსამსახურების იმ პროგრამის შეზღუდვის შესახებ, რომელიც სატელეფონო მოსმენებს ახორციელებს. კანონპროექტის სასარგებლოდ, რომელიც ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს საქმიანობას ზღუდავს, 217-მა კონგრესმენმა მისცა ხმა, წინააღმდეგი კი 205 კანონმდებელი გამოვიდა.

ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ადრე კონგრესს მოუწოდა, ამ შესწორებისთვის მხარი არ დაეჭირა. ბარაკ ობამას პრესმდივან ჯეი კარნის განცხადებით, ამ პროგრამის შეზღუდვით ამერიკის დაზვერვა «ტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას ვეღარ შეძლებს.“ აღნიშნული კანონპროექტი წარმომადგენელთა პალატის წევრმა, «რესპუბლიკელმა» ჯასტინ ემეშმა წარადგინა. აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაციის სიტყვებით, კანონპროექტის ავტორებს წინასწარ არ გაუვლიათ კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან.

დახურულ შეხვედრებზე კონგრესმენებს კანონპროექტის ჩაგდებისკენ მოუწოდებდა ეროვნული უშიშროების სააგენტოს დირექტორი გენერალი კიტ ალექსანდერი. ის ცალ-ცალკე შეხვდა «რესპუბლიკელებს» და «დემოკრატებს». თუმცა ამ კანონზე მსჯელობისას აზრი პარტიული ნიშნით არ იყო გაყოფილი. მოსმენების სკანდალმა, ფაქტობრივად, გახლიჩა ორივე წამყვანი პარტია. ორივეში, დაახლოებით, თანაბრად არიან მისი მომხრეები და მოწინააღმდეგეები, რაც აისახა კიდეც კენჭისყრაზე. ეროვნული უშიშროების სააგენტოს კვლავ შეეძლება, შეუზღუდავად ადევნოს თვალყური, როგორც ამერიკაში, ასევე ამერიკიდან უცხოეთში და პირიქით განხორციელებულ ზარებს, თუმცა ისინი ირწმუნებიან, რომ სასამართლოს სანქციის გარეშე არ უსმენენ შინაარსს, აფიქსირებენ მხოლოდ დროს, ტელეფონის ნომრებს და ადგილსამყოფელს. იგივე ეხება ელექტრონულ მიმოწერასაც.

ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ამ საიდუმლო პროგრამის შესახებ საზოგადოებისთვის ცენტრალური სადაზვერო სააგენტოს ყოფილი თანამშრომელ ედვარდ სნოუდენისგან გახდა ცნობილი. სნოუდენი ამ დროისთვის მოსკოვში, აეროპორტ «შერემეტიევოს» სანტრანზიტო ზონაში იმყოფება და რუსეთისაგან ოფიციალურ დოკუმენტებს ელოდება, რათა ეს ზონა დატოვოს და თუნდ დროებით რუსეთში შესვლა შეძლოს. სნოუდენი პოლიტიკური თავშესაფრის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას რუსეთისა და კიდევ რამდენიმე ქვეყნისგან ელის და საბოლოოდ მაინც ლათინურ ამერიკაში წასვლისთვის განწყობილია. ყოველ შემთხვევაში, ასე აცხადებს.

ოთხშაბათს მისთვის დოკუმენტების მიცემის შესახებ წინააღმდეგობრივი ინფორმაცია ვრცელებოდა. ჯერ გამოცხადდა, რომ მას ფედერალურმა მიგრაციულმა სამსახურმა უკვე მისცა ცნობა, რომლის საფუძველზეც შეუძლია, სატრანზიტო ზონა დატოვოს და რუსეთის საზღვარი გადაკვეთოს. შემდეგ ეს უარყო ადვოკატმა ანატოლი კუჩერენამ, რომელიც მას დოკუმენტების მიღებაში ეხმარება. შესაბამისი დოკუმენტების მიღება უარყვეს რუსმა მესაზღვრებმაც. კუჩერენას სიტყვებით, შემთხვევა რუსეთისთვის უპრეცედენტოა, ისინი უამრავ ბიუროკრატიულ ბარიერს გადააწყდნენ და ამიტომ განხილვას კიდევ რამდენიმე დღე დასჭირდება. თუმცა ოფიციალური პირებიც მიანიშნებენ, რომ გადაწყვეტილება დადებითი იქნება.

გუშინ კიდევ გაკეთდა განმარტებები. ფედერალური მიგრაციული სამსახურის ყოფილმა ხელმძღვანელმა ვლადიმირ ვოლოხმა ჟურნალისტებს აუხსნა, რომ თავისთავად ცნობა მთავარი არ არის. სნოუდენს უნდა მისცენ «მოწმობა თხოვნის არსებითად განხილვის შესახებ». ეს არის პასპორტის მსგავსი დოკუმენტი, რომელშიც ჩაკრულია ფოტოსურათიც. ეს დოკუმენტი ადასტურებს უცხოელის ვინაობას რუსეთის ტერიტორიაზე პროცედურების პერიოდისთვის. ამ დოკუმენტების მიღების შემდეგ სნოუდენს შეუძლია, ან სატრანზიტო ზონაში დარჩეს, ან მიგრაციული სამსახურის ნებართვით გადაინაცვლოს რუსეთში დროებითი განთავსების სამი ცენტრიდან ერთ-ერთში.

რუსეთის მიერ სნოუდენისთვის ნებისმიერი დახმარება კი ამერიკის უკიდურეს გაღიზიანებას იწვევს და ამას ოფიციალური ვაშინგტონი ღიად აცხადებს. სენატორები და კონგრესმენები (მათ შორის «დემოკრატებიც») კი უკვე ობამას ადმინისტრაციას უხერხემლობისთვის აკრიტიკებენ.

აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო ავღანეთში ბაზებს ხურავს

თამთა კახაძე

ავღანეთიდან ამერიკის კონტინგენტის გამოყვანის ვადის მოახლოებასთან ერთად, ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტო ავღანეთში ბაზებს ხურავს. აღნიშნულის შესახებ «ვაშინგტონ პოსტი“ ამერიკელ მაღალჩინოსანზე დაყრდნობით წერს. უახლოეს ორი წლის განმავლობაში ავღანეთში ბაზების რაოდენობის ექვსამდე შემცირება იგეგმება.

სავარაუდოდ, ბაზა დარჩება ქაბულში, რომელიც სააგენტოს ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ კომლექსად მიიჩნევა მსოფლიოში. ამასთან, სამუშაოები კიდევ ხუთ ბაზაზე გაგრძელდება, რომელებიც ბაჰრამში, ყანდაღარში, მაზარი-შარიფში, ჯალალაბადსა და ჰერათში მდებარეობს. ამასთან, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო ავღანეთში არსებული უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებას განაგრძობს.

ამერიკის დაზვერვის მაღალჩინოსნის მტკიცებით, ამერიკას ავღანეთში ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ბაზების დიდი რაოდენობა აღარ სჭირდება, რაც «ალ ქაიდასგან“ მომავალი საფრთხის შემცირებამ განაპირობა.

როგორც ამერიკული გამოცემა წერს, ამ დროისთვის მნიშვნელოვან მიმართულებად მიიჩნევა ახლო აღმოსავლეთი - სირია და იემენი, ასევე ჩრდილოეთ აფრიკა, სადაც «ალ ქაიდას“ მომხრეები გააქტიურდნენ.

ამერიკელი სამხედროები ავღანეთს 2014 წლის ბოლოს დატოვებენ. ამ დრომდე პრეზიდენტის ადმინისტრაციას არ გამოუცხადებია საბოლოო გადაწყვეტილება, დარჩებიან თუ არა 2014 წლის შემდგომ ამ ქვეყანაში ამერიკელი ჯარისკაცები, რომლებიც, ძირითადად, ავღანეთის უსაფრთხოების ძალების წვრთნით იქნებიან დაკავებულნი. ეს ჯერ კიდევ მოლაპარაკების საგანია. ოფიციალური ქაბული ცოტა ჭირვეულობს, აქედან გამომდინარე, ერაყის ვარიანტი არ გამორიცხება, თუმცა ყველა ხედავს, რომ ერაყში ეს საუკეთესო გამოსავალი არ აღმოჩნდა.

„დინამო“ VS „სტიაუა“ - მესამე ეტაპი გასავლელია

ამ მხრივ თბილისელებს „სტიაუასთან“ მართლაც კარგი სტატისტიკა აქვთ, მაგრამ არის კიდევ ერთი კარგი რამ - „დინამოს“ ახლანდელ ჩეხ მწვრთნელს დუშან უჰრინსაც ასევე დადებითი მაჩვენებელი აქვს რუმინულ კლუბთან. ჩეხი სპეციალისტი ამაყობს იმით, რომ, როგორც მწვრთნელს, რუმინეთში მუშაობისას „სტიაუასთან“ არასდროს წაუგია. თავად განსაჯეთ, „ტიმიშოარაში“ მუშაობისას ბუქარესტულ კლუბთან ოთხ მატჩში ერთი მოგება და სამი ფრე (2:0, 1:1, 0:0, 2:2) უმაგრებს ზურგს.

სტატისტიკა კლუბისა და ცალკე მწვრთნელის მხრიდან იმედისმომცემია, მაგრამ რეალურად დინამოელებს დიდი ჯაფა დაადგებათ რუმინული ბარიერის გადასალახავად. მით უმეტეს, რომ რუმინეთის საფეხბურთო ჩემპიონატი უკვე დაწყებულია და, ქედან გამომდინარე, „სტიაუა“ მომზადების მხრივ „დინამოზე“ წინაა (საქართველოს ჩემპიონატი 10 აგვისტოს აიღებს სტარტს).

დუშან უჰრინს დადებითი მაჩვენებელი აქვს ბუქარესტულ კლუბთან

მეტოქისა და, საერთოდ, რუმინული ფეხბურთის სიძლიერეზე საუბრისას დუშან უჰრინი იმასაც ამბობს, რომ რუმინეთის ჩემპიონატი გაცილებით ძლიერია. მიუხედავად ამისა, დასძენს, რომ უმაღლეს ლიგაში საქართველოს ოთხი-ხუთი გუნდი თავისუფლად ითამაშებდა.

ღუმინელები კი თბილისში ჩამოსვლამდე სკანდალში გაეხვივნენ.

ირკვევა, რომ „ვარდართან“ მატჩის წინ „სტიაუას“ მენეჯერმა მიჰაი სტოიკამ ტელეკომპანია PRO TV-ის კორესპონდენტს ალექსანდრა ტანასესკუს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც სკოპიეს პოლიციამ ჯერ დააკავა, მერე კი სტოიკა და მისი პირადი მცველი, რომელიც ასევე მონაწილეობდა ინციდენტში, 400 ევროთი დააჯარიმა.

ჟურნალისტი სტოიკას უჩივის და დიდი შანსია, რომ უეფამ მასაც და „სტიაუასაც“ სანქციები დააკისროს.

კლუბის მენეჯერის განმარტებით, მან ჟურნალისტს სთხოვა, ვარჯიში დასაშვებ დროზე ხუთი წუთით ადრე დაეტოვებინა, რაზეც უარი მიიღო. გაბრაზებულმა მენეჯერმა ურჩ ჟურნალისტს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. მოგვიანებით სტოიკამ ბოდიში მოიხადა - ნერვებმა მიმტყუნა, ჩემს საქციელს გამართლება არა აქვსო.

ერთი სიტყვით, ყველანი „დინამო არენაზე“! 30 ივლისს ჩემპიონთა ლიგის III საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამო“ VS „სტიაუაა“. მატჩი 20 საათზე დაიწყება. ბილეთები 5 და 10 ლარი ღირს.

ეს კი სტატისტიკაა:

1987/1988. უეფას თასი. 1/16 ფინალი.

პირველი მატჩი

ვიქტორია (ბუქარესტი, რუმინეთი) - დინამო (თბილისი) 1:2 (0:2)

დინამო: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე (კაპ), ჭედია (ქეცბაია 72), არზიანი, ზაზა რევიშვილი, ცვეიბა, სულაქველიძე, კორღალიძე, გურული, შენგელია

მწვრთნელი: გერმან ზონინი

გოლები: 0:1 ჭედია (4), 0:2 შენგელია (20), 1:2 ვაიშკოვიჩი (68, პენ)

მეორე მატჩი

დინამო (თბილისი) - ვიქტორია (ბუქარესტი, რუმინეთი) 0:0

დინამო: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე (კაპ), ჭედია, არზიანი, რევიშვილი, ცვეიბა, სულაქველიძე, კორღალიძე (აჯოევი 63), გურული (ფანცულაია 77), შენგელია

მწვრთნელი: გერმან ზონინი

გაძევება: არზიანი (61)

1994/1995. უეფას თასი. I საკვალიფიკაციო ეტაპი

პირველი მატჩი

დინამო (თბილისი) - უნივერსიტატია (კრაიოვა, უკრაინა) 2:0 (1:0)

დინამო: ზოიძე, შელია, ნემსაძე, ლობჟანიძე, ინალიშვილი, რევაზ არველაძე, ჯამარაული, ქინქლაძე, ყაველაშვილი (კაპ) (რევიშვილი 64), შოთა არველაძე, არჩილ არველაძე (ცქიტიშვილი 79)

მწვრთნელი: გივი ნოდია

გოლები: 1:0 ქინქლაძე (27), 2:0 შოთა არველაძე (59 პენ)

მეორე მატჩი

უნივერსიტატია (კრაიოვა, რუმინეთი) - დინამო (თბილისი) 1:2 (0:1)

დინამო: ზოიძე (ჩხეიძე 65), შელია, ნემსაძე, ლობჟანიძე, ინალიშვილი, რევაზ არველაძე, ჯამარაული, ქინქლაძე (იაშვილი 88), ყაველაშვილი (კაპ), შოთა არველაძე, არჩილ არველაძე

მწვრთნელი: გივი ნოდია

გოლები: 0:1 ყაველაშვილი (2), 1:1 პიგულია (58), 1:2 ქინქლაძე (86)

71-ე წუთზე გეორგე კრაიოვეანუმ (უნივერსიტატია) ვერ გაიტანა პენალტი (ააცილა)

გაძევება: ზამფირი (78)

ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩს, რომელსაც თბილისის დინამო“ დინამო არენაზე“ ბუქარესტის სტიაუას“ წინააღმდეგ გამართავს, ავსტრიელი რობერტ შორგენჰოფერი განსჯის. ავსტრიელ მსაჯს დაეხმარებიან თანამემამულე როლანდ ბრანდერი და მატიას ვინსაუერი. მეოთხე მსაჯი ასევე ავსტრიელი კრისტიან დინტარი იქნება.

ასაყვანები

ზურა თალაკვაძე

თავისუფალი აგენტების სია აიჭრა და რამდენიმე საინტერესო ტიპი მაინც დარჩა. რამდენიმე საინტერესო ტიპში არიან არაპოპულარული ტიპებიც და გაპიარებული მილიონერებიც. 6 პერსონაჟი გავიაროთ.

1. კენიონ მარტინი

შარშან: 7.2+5.2 მოხსნა+0.9 ჩაჭრა+0.9 დაფარება

მარტინი ახალგაზრდა, უფრო მძიმე, სწრაფ მეოთხე ნომრებთან თითო მოძრაობაზე თითო ნაბიჯს აგებს. მარტინი მისაღებ სტატისტიკას სტაბილურად მოგცემს, მაგრამ კენიონს დიდი კუში უნდა. მარტინი ერთ სეზონში 8 მილიონამდე ითხოვს და ბიჭმა ეს თანხა არ უნდა მიიღოს. მარტინი არ ღირს 8 მილიონი. მარტინი არ ღირს 7 მილიონი. მარტინი ოთხი მილიონი თუ ღირს, უკვე თემაა. კენიონმა მოაგვარა პრობლემები მეგობარ გოგონასთან. კენიონმა მოაგვარა პრობლემები კიდევ ერთ მეგობარ გოგონასთან და მარტინი კალათბურთზე ზის. მარტინი კალათბურთით იღებს კაიფს და მარტინმა დისქაუნთით უნდა ითამაშოს. კენიონი ჩინეთში მოატყუეს, დიდი ხელფასი დაუნიშნეს და ფული არ მისცეს. კენიონი არ ჩანს. მარტინმა იცის, რომ ორ სეზონში უკვე ზედმეტი იქნება და დარჩენილ დროში მაქსიმუმი უნდა მიიღოს. მარტინმა ახალი კონტრაქტი ფავორიტისგან უნდა მიიღოს. იქ გამოცდილება და ბრექობა მოსწონთ. ჩვეულებრივი თემაა.

2. დეჟუან ბლერი

შარშან: 5.4+3.8 მოხსნა+0.7 პასი

სან ანტონიო“ გრეგ ოდენს დაელაპარაკა. მერი შელის პერსონაჟი კალათბურთში. მერი შელის პერსონაჟი კანის სხვა ფერით. გრეგ პოპოვიჩი ოდენს და ტიმ დანკანს შეკრავს. თუ სან ანტონიოს ექიმები გრეგზე დათანხმდებიან. თუ სან ანტონიოში ოდნი წავა, ბელრის დატოვების შანსი გადაიშლება. ბლერი ნორმალური ტიპია. არ ამძიმებს სიტუაციას. არ ცდილობს პრობლემების შექმნას. ბლერი ეპიზოდურად კარგი ცენტრია და სან ანტონიო“ ეპიზოდებით არ თამაშობს. სან ანტონიო“ ეპიზოდებით იგებს და სან ანტონიო“ კარგი ოდენით სუპერფინალში დაბრუნების ფავორიტი იქნება. ბლერი დაცვაში ნულია და პოპოვიჩს ეს მომენტი ახსოვს. ეს მომენტი ბლერსაც ახსოვს და თუ გრეგი ოვალურ ელემენტს ახალ კონტრაქტს აჩუქებს, ბლერი ახალ დონეზე უნდა გავიდეს. რაც ძალიან არარეალურია. ბლერის სან ანტონიოში“ დარჩენაც არარეალურია. ევროპაში ბლერი არ დაიკარგება, თითქმის ბილ რასელი იქნება. წადი რა ევროპაში, ძმაო.

3. ბრენდონ ჯენინგსი

შარშან: 17.5+6.5 პასი+3.1 მოხსნა+1.6 ჩაჭრა

მილუოკი“ ახალი, უფრო მოქნილი ფრენჩაიზი იქნება. ზაზა ფაჩულია გემოვნებას, შარმს და გამოცდილებას ატარებს, ოუ ჯეი მაიო აგრესია და მოურიდებელი ზიზღია. იქვე იტრიალებს ლარი სანდერსიც. ცოტა აზრზე მოსაყვანი, ცოტა დასახვეწი, ცოტა მოურიდებელი ტიპი, რომელიც ამ გენერაციის მარკუს კემბია. ან უკეთესი. მილუოკიში“ ვერ გადაწყვიტეს, დაიტოვონ თუ გაუშვან ერთი მოქნილი ახალგაზრდა, რომელიც კალათბურთს ეგოისტურად თამაშობს. მისტერ ჯენინგსი კარგი პერსონაჟია. ყოველ შემთხვევაში, თუ არ მიაქცევ ყურადღებას, რომ ბურთი გუნდზე მეტად უყვარს. თუ არ მიაქცევ ყურადღებას, რომ ძალიან ცუდი დამცველია. თუ არ მიაქცევ ყურადღებას, რომ ერთჯერადი დამცველია. თუ არ მიაქცევ ყურადღებას, რომ ჯენინგს ერთ სეზონში 15 ან მეტი მილიონი დოლარი სურს. და ჯენინგსი ვერ ითამაშებს მაიოსთან. უბრალოდ, ვერ ითამაშებს. „მილუოკიმ“ ყველაფერი უნდა გაიაროს. ბიჭს ალბათ მაინც დაიტოვებენ.

4. ბენო უდრიხი

შარშან: 8.2+4.6 პასი+2.1 მოხსნა

უდრიხი სლოვენიაში არ უნდა ჩავიდეს. უდრიხმა სლოვენიას სლოვენია წაართვა. ყოველ შემთხვევაში, თუ არ გადაიფიქრებს. ბენო სლოვენიაში პირველი პერსონაა. ბენომ სლოვენიაში ევრობასკეტის ამბებზე თქვა, მეზარება, სხვა პრობლემები მაქვს მოსაგვარებელი და არ დამელოდოთ, შეუბერეთო. უდრიხმა სლოვენიას გამოცდილება და კლასი წაართვა და სლოვენია დრაგიჩებით დაალაგებს სიტუაციას. და ალბათ, ვერ დაალაგებს. და ალბათ, უდრიხი რომელიმე კარგ გუნდში წავა. შეიძლება, „სან ანტონიოში“ დაბრუნდეს. იქ ბენო ორჯერ იგებს სუპერფინალს და მერე იწყება კალიფორნიული ოთხი სეზონი. ოთხი სეზონი „საკრამენტოში“, სადაც ბენოს სტატისტიკა გაუმჯობესდა და სექსუალური, კარგი კუშის მოსახსნელად საკმარისი გახდა. უდრიხმა იცის, რომ ერთ სეზონში 5-6 მილიონის გადამხდელს იშოვის. უდრიხი კარგი პირველი ნომერია. და კარგი პირველი ნომრები კარგ კუშს ხსნიან ხოლმე. ბენო ასაღებს აიღებს.

5. გარი ნილი

შარშან: 9.5+2.1 მოხსნა+1.9 პასი

მისტერ ნილი სტაბილურად სტაბილურია. მისტერ ნილი „სან ანტონიოში“ სიტუაციას არ ალაგებს, მაგრამ მისტერ ნილი „სან ანტონიოში“ უნდა დარჩეს. გრეგ პოპოვიჩი ნილებით იგებს. გრეგ პოპოვიჩი ნილებით პრობლემებს აგვარებს და გრეგ პოპოვიჩმა გარის შემდეგი კონტრაქტით 4-5 მილიონი უნდა გაუშანსოს. მისტერ ნილი მალე ახალ კონტრაქტს მიიღებს და ახალი, ძველი „სან ანტონიო“ ნილს 20-25 წუთს აჩუქებს. იმ დროში „სან ანტონიო“ 9 ქულას, 2 პასს, ნორმალურ დაცვას მიიღებს. ნილმა იცის, რომ პოპოვიჩი ნდობას აფასებს. ნილი არ არის დანი გრინი, რომელიც იზრდება და ყველა ნიუანსში უკეთესია. ნილმა იცის, რომ გრგეი ნდობას იმსახურებს. ნილი სანდო ელემენტია. ნილი სანდო ახალგაზრდაა. ნილი პოპოვიჩმა ნახა და ნილი ტიმ დანკანთან დარჩება. ნილი ტონი პარკერთან დარჩება. ნილი მანუსთან დარჩება. და ნილმა კარგი ვარიანტი უნდა მიიღოს. „სან ანტონიოში“ ბიჭი ჩანს. და სხვაგან გრეგ პოპოვიჩი არ იქნება. გრეგმა ეს იცის. ნილმაც.

6. ტიმოფეი მოზგოვი

შარშან: 2.6+2.6 მოხსნა

რუსის კონტრიბუციაზე საუბარი ცოტა უხერხულია. მოზგოვის სტატისტიკა სტატისტის თემაა. მოზგოვის სტატისტიკა ერთი ან ერთ-ნახევარი მილიონი დოლარი ღირს. ან უფრო ნაკლები. და მოზგოვის აგენტი მაგარ კონტრაქტზე დარბს. რუსეთის ნაკრებში მოზგოვზე საჭირო ცენტრი საშა კაუნია. რუსეთის ნაკრებში მოზგოვი ბალასტია და ამერიკულ ამბებში რუსს ბოლო შანსი ექნება. ერთი ვარიანტი ატლანტა“ იყო. და ატლანტამ“ ზაზა ფაჩულია უნდა შეცვალოს. მოზგოვით ან არამოზგოვით. და რუსის მეორე ვარიანტი ნიუ იორკია“. იქ, სადაც ბიჭი იყო და ვერ გაქაჩა. იქ, სადაც ტაისონ ჩენდლერია. იქ, სადაც მოზგოვები არ ჩერდებან. და რუსმა მეორე ოფციაც უნდა გაიაროს - დაბრუნდეს ევროპაში, რუსეთში, ცსკაში. იქ დიდ ფულს იხდიან და იქ ახალ ბორმანქანას აწყობენ. მოზგოვის აგენტი კიდევ ერთხელ გაივლის ყველა ვარიანტს და საუკეთესო მომენტს აირჩევს. მოზგოვი რომ აირჩიონ. ჩვეულებრივი ცენტრი.

შეხვედრა სეოკ-ის ოფისში

„უტრეხტი 2013“ უკვე ისტორიის კუთვნილებაა, 19 ივლისს, თამაშების დახურვის ცერემონიალზე კი ესტაფეტა თბილისს ოფიციალურად გადაეცა, როდესაც ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა პატრიკ ჰიკმა დედაქალაქის მერს გიგი უგულავას ოლიმპიური დროშა ჩააბარა.

2015 წლის ზაფხულში თბილისს სერიოზული გამოცდა ელის. მსგავსი რანგისა და მასშტაბის სპორტული ფორუმი საქართველოში აქამდე არასდროს გამართულა. ერთი შეხედვით, მანამდე საკმაო დროა, მაგრამ ორი წელიწადიც თვალის დახამხამებაში გაირბენს და მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, ამ უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებას სრულ მზადყოფნაში შევხვდეთ.

საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით 24 ივლისს სეოკ-ის ოფისში გაიმართა მუშა შეხვედრა, რომელსაც ქალაქის მერი გიგი უგულავა, სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი, გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, ვიცე-პრეზიდენტი მამუკა ხაბარელი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, მოადგილეები თამაზ თევზაძე და აკა ლოდია, თბილისის სპორტის სამსახურის უფროსი მერაბ ჩიქობავა, „თბილისი 2015“-ის პროექტის კოორდინატორი გიორგი ხაჩიძე და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე დეტალურად იმსჯელეს ოლიმპიური სოფლის შესახებ, ასევე ინფრასტრუქტურულ და ფესტივალის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის საჭირო სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

www.geonoc.org.ge


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL MANAGEMENT
kikala studio
MAX
OUtdooR.ge
MSG
ADSSPRINT
McCANN
Curves
myVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 Saati
allMovies.ge
Pink